

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

დიმიტრი გეგენავა

**საკონსტიტუციო მართლმსაჯულება  
საქართველოში: სამართალწარმოების  
ძირითადი სისტემური პრობლემები**

თბილისი

2012

ნაშრომი ეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებამოსილების განხორციელების პროცედურულ ასპექტებს, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მნიშვნელოვან საკითხებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითად სისტემურ პრობლემებს.

წიგნი მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ბაზაზე და განკუთვნილია იურისტების, სამართლისა და პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი:** პროფ. დოქტ. გიორგი კვერენჩილაძე

**დიზაინი:** ზურაბ ბეჟაშვილი, დიმიტრი გეგენავა

*ყდაზე გამოსახულია „მერბერი მედიკონის წინააღმდეგ“ საქმის ოქმის დაწვას გადარჩენილი ფრაგმენტი, რომელიც დაცულია აშშ-ის ეროვნულ არქივში (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი). ელექტრონული ვერსია ხელმისწავდომია აშშ-ის ეროვნული არქივის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.archives.gov](http://www.archives.gov)*

© დიმიტრი გეგენავა, 2012

© საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2012

# შინაარსი

შემოკლებანი .....	5
წინათქმა .....	7
შესავალი.....	9
<b>თავი I. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი სახე.....</b>	<b>11</b>
1. საკონსტიტუციო კონტროლის ცნება და მნიშვნელობა..	12
1.1. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი .....	12
1.2. საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნების მნიშვნელობა და გამოყენება ქართული სამართლებრივ მეცნიერებაში.....	15
2. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსი.....	18
3. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოები.....	21
3.1. საკონსტიტუციო სასამართლოები.....	21
3.1.1. ზოგადი მიმოხილვა.....	21
3.1.2. ავსტრიული მოდელი .....	23
3.1.3. გერმანული მოდელი .....	25
3.2. საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლოს ექვივალენტი ორგანოები.....	26
4. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ძირითადი სახეები ..	29
5.1. სამართლებრივი ელემენტები .....	32
5.2. იდეოლოგიური და სოციალური ელემენტები .....	34
5.3. პოლიტიკური ელემენტები .....	36
<b>თავი II. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ძირითადი ასპექტები საქართველოში .....</b>	<b>40</b>
1. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კონსტიტუციური საფუძვლები .....	40
2. საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების თაობაზე .....	42

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ფუნქციები საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.....	45
3.1. „ნეგატიური კანონმდებელი“.....	45
3.2. „პოზიტიური კანონმდებელი“.....	47
3.3. კონსტიტუციის განმარტება.....	50
<b>თავი III. საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელების ძირითადი სირთულეები საქართველოში..</b>	<b>52</b>
1. უფლებამოსილებები.....	52
2. საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა.....	57
3. სამართალწარმოების ვადები.....	62
4. გადაწყვეტილების აღსრულება და პრეცედენტული პრაქტიკა.....	66
4.1. გადაწყვეტილების ძალაში შესვლა.....	66
4.2. გადაწყვეტილების აღსრულება.....	68
4.3. ერთგვაროვანი პრაქტიკა და გადაწყვეტილებების პრეცედენტულობა.....	73
5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა კვალიფიკაცია.....	76
6. კანონმდებლობის გაუმართაობა.....	79
<b>თავი IV. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ეფექტურობისა და სრულყოფისათვის აუცილებელი ნაბიჯები - წინადადებები და რეკომენდაციები.....</b>	<b>82</b>
<b>დასკვნა.....</b>	<b>88</b>
<b>გამოყენებული მასალები.....</b>	<b>91</b>

## შემოკლებანი

რუს. - რუსული

რფ - რუსეთის ფედერაცია

ინგ. - ინგლისური

გფრ - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ევროსასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

ა.შ. - ასე შემდეგ

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

შეად. - შეადარეთ

ECHR - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო



## წინათქმა

საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოში მხოლოდ 16 წლიანი ისტორია გააჩნია, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა ქართულ სამართლებრივ სისტემაში. აცნობიერებდა რა, მასზე დაკისრებულ სახელმწიფოებრივ მოვალეობას, იგი მუდამ მოწოდების სიმაღლეზე გახლდათ და ხშირად იღებდა სარისკო, ხელისუფლებისთვის უსიამოვნო გადაწყვეტილებებს.

ნებისმიერ სისტემას თუ ინსტიტუტს გააჩნია პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მათი შემდგომი ფუნქციონირებისათვის. ეს ნაშრომიც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს ეხება და ერთგვარი მცდელობაა, სირთულეების წარმოჩენის პარალელურად, საზოგადოებას მიანოდოს მათი დაძლევის გზები, შესაბამისი რეკომენდაციები.

ნაშრომი გამოიცემა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ეგიდით, თუმცა მის მომზადებაში გამოყენებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური თუ ელექტრონული სამეცნიერო ბაზა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, ბატონ ირაკლი ბურდულსა და ქალბატონ თეა ჯუღელს.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო პროფესორ გიორგი კვერენჩილაძეს, რომელიც წიგნის რედაქტორი გახლავთ და მნიშვნელოვან მითითებებსა და რჩევებს მაძლევდა ნაშრომზე მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში. მისი დიდი დამსახურებაა, კონსტიტუციური სამართლით ჩემი დაინტერესება, რამაც საბოლოო ჯამში გავლენაც იქონია პროფესიული სპეციალიზაციის არჩევაზეც. ასევე, აუ-

ცილებლად უნდა აღვნიშნო პროფესორ ბესარიონ ზოიძესთან საინტერესო და სასარგებლო საუბრები საკონსტიტუციო მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით.

იმედს ვიტოვებ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი მცირე ნვლილს მაინც შეიტანს ქართულის კონსტიტუციონალიზმისა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დახვეწისა და განვითარების საქმეში.

**დიმიტრი გეგენავა**

დავით ბატონიშვილის სამართლის  
ინსტიტუტის დირექტორი

თბილისი, 2012 წლის 27 აგვისტო

**საკონსტიტუციო მართლმსაჯულება  
საქართველოში: სამართალწარმოების  
ძირითადი სისტემური პრობლემები**

*„...და თავდაპირველად იყო კელზენი.“<sup>1</sup>*

**შესავალი**

სახელმწიფოს სრულყოფილი არსებობისა და განვითარებისათვის ძნელად თუ მოიპოვება იმაზე უფრო სრულყოფილი ინსტიტუტი, როგორც საკონსტიტუციო კონტროლი და მართლმსაჯულება გახლავთ. საკონსტიტუციო კონტროლი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაა, რომელიც მიმართულია ხელისუფლების შტოებს შორის წონასწორობის დაცვისკენ.<sup>2</sup> მეტიც, ზოგიერთ სახელმწიფოში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტებს სპეციალურად საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის პოლიტიკური წონასწორობის მიზნით ქმნიდნენ<sup>3</sup>, რასაც ამ ორგანოთა მიერ ხელისუფლების შტოებს შორის წარმოქმნილ დავათა გადაწყვეტის საკონსტიტუციო უფლებამოსილება ამყარებდა.<sup>4</sup> საკონსტიტუციო კონტროლის საშუალებით ხდება სახელმწიფო ორგანოების მიერ კონსტიტუციის ბოროტად გამოყენების პრევენცია<sup>5</sup>.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების მაღალი სტატუსი და მოსაზრება, რომ ისინი საკანონმდებლო ორგანოებზე მაღლა დგანან, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებში თანაბრადაა განვითარე-

---

<sup>1</sup> Pakalnytė K., The Lithuanian Constitutional Court: Its Nature, Structure, and Position in the Lithuanian Legal Order, *International Journal of Baltic Law*, Vol. 2, No. 1, 2005, 25.

<sup>2</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 34-35.

<sup>3</sup> კვერენჩილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, *ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“*, №2, 1997, 67.

<sup>4</sup> იქვე, 59.

<sup>5</sup> Starck C., *Constitutional Review in the Federal Republic of Germany*, Translated by Ignaski J., *Notre Dame International and Comparative Law Journal*, Vol. 2, 1984, 88.

ბული.<sup>6</sup> მართალია, კანონებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების უფლებამოსილება რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს გააჩნია<sup>7</sup>, თუმცა არცერთი მათგანი არ არის ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი მიზნის მატარებელი, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო. ხელისუფლების სამივე შტო გარკვეულწილად „ემორჩილება“ მას. იგი საჯარო ხელისუფლების სისტემაშია ინტეგრირებული და იკავებს გარკვეულ ავტონომიას, ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ხელისუფლების სამივე შტოზე<sup>8</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი მაღალი სტატუსი განაპირობებს მის მიმართ გამუდმებულ ცხოველ ინტერესს. მას რეალურად უპყრია მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ბერკეტები, რომელთაგან ნებისმიერის ამოქმედების შემთხვევაში, შესაძლოა სახელმწიფოში პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა შეიცვალოს. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, რომელთა უმრავლესობაც პოსტკომუნისტური ქვეყნები წარმოადგენენ, საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული ავტორიტეტი გააჩნია, მეტ-ნაკლებად მიუყვარძობელი სტატუსით სარგებლობს და მისგან ყოველთვის შესაბამისი, ადეკვატური პოზიციის გამოვლენას მოელონ<sup>9</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 1996 წელს შეიქმნა და დაარსების დღიდანვე საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა. მისი საქმიანობა ყოველთვის მეტად მგრძობიარე და აქტუალურ საკითხებს შეეხებოდა, ხშირ შემთხვევაში კი ძალზედ პრინციპული პოზიციით გამოირჩეოდა. თუმცა ნებისმიერ, თუნდაც ხანგრძლივი არსებობის ისტორიით გამორჩეულ სახელმწიფო ინსტიტუტებსაც კი გააჩნიათ პრობლემები, რომელთა სინათლეზე გამოტანა და ანალიზი აუცილებელია შემდგომში კიდევ უფრო მეტი სირთულეების თავიდან ასაცილებლად.

---

<sup>6</sup> მელქაქე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1996, 49.

<sup>7</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под. общ. ред. Баглая М. В., Лейбо Ю. И., Энтина Л. М., Москва, 2004, 347.

<sup>8</sup> Сергеев Д. Н., Конституционное Правосудие в России: Политико-Правовое Исследование, Диссертация на соискание ученой степени кандидата политических наук (На правах рукописи), Москва, 2005, 19.

<sup>9</sup> Мишин В., Конституционный Суд – Востребованный Временем Правовой Институт, Конституционное Правосудие, №2(28), 2005, 9.

ნაშრომის მიზანია, მიმოიხილოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ინსტიტუტის მდგომარეობა საქართველოში, საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობა და როლი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, სამართალწარმოების ძირითადი სირთულეების, პრობლემების ანალიზი, რომლებიც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკული რეალიზაციის სისტემას გააჩნია. ნაშრომის მიზანია, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითადი პრობლემების ანალიზის შედეგად, სახელმძღვანელო რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება, რომლებიც პრობლემათა გადაწყვეტის რაციონალური, ლოგიკური და სამართლებრივი გზისკენ იქნება მიპყრობილი.

კვლევა ეფუძნება და მოიცავს, ძირითადად, ევროპულ და ამერიკულ მიდგომებს, დოქტრინას, თანამედროვე სამართლის ტენდენციებს, შედარებითსამართლებრივ ასპექტებს. განხილული იქნება კონსტიტუციური სამართლის სფეროს წამყვანი მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტების, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური შეხედულებები, საქართველოს და საზღვარგარეთის ავტორიტეტულ სასამართლოთა შეფასებები.

ნაშრომი შედგება შესავლის, დასკვნის, ოთხი თავისა და 16 ქვეთავისაგან, რომელთაგან პირველი თავი ეთმობა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი სახის არსისა და მნიშვნელობის ანალიზს; მეორე თავი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის ზოგად მიმოხილვას, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების სისტემურ დახასიათებას; მესამე თავი - ყურადღება გამახვილებულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითად სირთულეებსა და სისტემურ პრობლემებზე საქართველოში, რომლებიც მნიშვნელოვნად აბრკოლებენ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის დაკისრებული ამოცანების სრულყოფილად და ჯეროვნად შესრულებას; მეოთხე თავი დაეთმობა სამართალწარმოების არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს, შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

**თავი I. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი სახე**

# 1. საკონსტიტუციო კონტროლის ცნება და მნიშვნელობა

## 1.1. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი

საკონსტიტუციო კონტროლი კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოთა სპეციფიკური უფლებამოსილებაა, რომელიც ნორმატიული აქტების იერარქიაში კონსტიტუციის უზენაესობასა და საჯარო ურთიერთობების სუბიექტების მიმართ მის პირდაპირ მოქმედებას უზრუნველყოფს.<sup>10</sup>

ზოგადი წესის თანახმად, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილებაა, შეამოწმოს კანონების შესაბამისობა ქვეყნის ძირითად კანონთან (კონსტიტუციასთან)<sup>11</sup>, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით თითოეულ მეცნიერს საკუთარი შეფასება და განმარტება გააჩნია<sup>12</sup>.

ბლანკენაგელის განმარტებით, „საკონსტიტუციო კონტროლი, ეს არის საქმიანობა, რომელიც მიმართულია ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებისაკენ“<sup>13</sup>. შესაბამისად, მისი განმახორციელებელი საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს შეკავებისა და განონასწორების სისტემის პრაქტიკული მოქმედებისათვის რეალურ ქმედით საშუალებას.

საკონსტიტუციო კონტროლის სფერო საკმაოდ ფართოა, დაწყებული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის დადგენით, ფედერაციის სუბიექტებს ან სახელმწიფო ორგანოებს შორის დავით დამთავრებული.<sup>14</sup>

---

<sup>10</sup> Витрук Н.В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 23.

<sup>11</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 31.

<sup>12</sup> იქვე, 32; იხ., Витрук Н.В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998; მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006.

<sup>13</sup> გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998, 24; იხ. ციტირება: Бланкенагель А., Теория и Практика Конституционного контроля в ФРГ, Журн. “Советское Государство и Право”, №1. 1989.

<sup>14</sup> მელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1996, 45.

საკონსტიტუციო კონტროლს, როგორც სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას, საფუძველი პარლამენტის მიერ მიღებული კანონების შემოწმებით ეყრებოდა<sup>15</sup>, რასაც მალევე დაემატა სახელმწიფო მეთაურის მიერ კონსტიტუციის დარღვევისა და სახელმწიფო ლაღატისათვის პასუხისმგებლობის დადგენის მიზანი<sup>16</sup>.

საკონსტიტუციო კონტროლს, როგორც ინსტიტუტს საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია გააჩნია.<sup>17</sup> მისი ჩამოყალიბება უკავშირდება 1803 წელს<sup>18</sup>, აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს<sup>19</sup> გადანიჭვით დასაბუთებას საქმეზე, *Marbury v. Madison*<sup>20</sup>, რომლითაც უმაღლესმა სასამართლომ შექმნა საერთო

---

<sup>15</sup> Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 24.

<sup>16</sup> იქვე, 154.

<sup>17</sup> იხ., შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 50-61; შაიო ა., ხელისუფლების თვითმზღვლედვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 275-284; კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, 45-47.

<sup>18</sup> 1803 წლამდე შტატების სასამართლოებს ჰქონდათ აქტების კონსტიტუციურობაზე ნამსჯელი და რამდენი ათეული გადანიჭვით დასაბუთება მიიღეს, თუმცა ყოველივე ამას არ ჰქონდა სისტემური ხასიათი. იხ., მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონსტიტუციის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1999, 108.

<sup>19</sup> უპრიანია აშშ-ის უმაღლესი სასამართლო ინსტანციის სახელწოდება - The Supreme Court, ქართული ენის თავისებურებებისა და სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ითარგმნოს არა როგორც უზენაესი, არამედ როგორც უმაღლესი სასამართლო.

<sup>20</sup> „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ საქმეზე აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ თუკი კონგრესის კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლოს შეუძლია მისი არაკონსტიტუციურობად ცნობა, რის შემდეგაც საკუთარ თავს მიანიჭა კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის უფლებამოსილება. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ აშშ-ის კონსტიტუციაში საერთოდ არაა ნახსენები სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესახებ. იხ., William Marbury v. James Madison, Secretary of State of the United States, 1 Cranch 137; 2 L. Ed. 60; 1803 U.S. LEXIS 352; Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 28; კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ხელნაწერზე უფლებით, თბილისი, 2011, 1; კახიანი გ., საკონსტიტუციო კონ-

სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პრეცედენტი<sup>21</sup>. აღნიშნული მოსამართლე მარშალმა დიდი კრიტიკისა და წინააღმდეგობის გარეშე დაამკვიდრა<sup>22</sup>, თუმცა ამას ძლიერ დაძაბული წინარე პერიოდი უძღოდა<sup>23</sup>.

საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოს შექმნის იდეა კი კელზენს ეკუთვნის. იგი იზიარებდა მარშალის პოზიციას და მიაჩნდა, რომ კონსტიტუცია უზენაესი ნორმაა, რომელსაც უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია ნებისმიერი სხვა სამართლებრივი აქტის მიმართ და იგი უნდა აღსრულდეს.<sup>24</sup> კელზენის იდეები ემყარებოდა ამერიკულ გამოცდილებასა და ევროპულ აზროვნებას. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აბატი სიესი ემხრობოდა საკონსტიტუციო კონტროლის ჩამოყალიბებასა და ყველა იმ კანონის გაუქმებას, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, ვინაიდან, მისი აზრით, „კონსტიტუცია ან სავალდებულო კანონების კრებულია, ან - არაფერი“<sup>25</sup>. მისივე თქმით, „თუ კონსტიტუცია ზოგადსავალდებულო ქვეყნის წესების ერთობლიობაა, ისმის კითხვა - სად არის მისი დამცველი ინსტიტუტი?...“<sup>26</sup> მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს იდეამ დიდი გავრცელება ჰპოვა, ზოგიერთ სახელმწიფოში დღემდე არ არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოები<sup>27</sup>.

---

ტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი,, თბილისი, 2011, 54-55.

<sup>21</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 55.

<sup>22</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუზლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 52.

<sup>23</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 275-284

<sup>24</sup> იქვე, 56.

<sup>25</sup> იქვე, 54.

<sup>26</sup> კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006, 44; იხ. ციტირება: Pasquino P., Sieyes et l'invention de la Constituion en France, Paris, 1998, 193-196.

<sup>27</sup> ინგლისში პარლამენტის ჰეგემონია 1688 წლიდან დამკვიდრდა, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუშალა სპეციალური კონსტიტუციური სამართლისა და საკონსტიტუციო კონტროლის განვითარებას. იხ. Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Translated by

## 1.2. საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული ზოგერთი ცნების მნიშვნელობა და გამოყენება ქართული სამართლებრივ მეცნიერებაში

საკონსტიტუციო კონტროლის<sup>28</sup> სამართლებრივ ცნებას საქართველოში საკანონმდებლო რეგლამენტაცია გააჩნია. მას თავად კონსტიტუცია ამკვიდრებს სასამართლო ხელისუფლების განხორციელებასა<sup>29</sup> და საკონსტიტუციო სასამართლოზე<sup>30</sup> საუბრისას.

კონსტიტუციის დონეზე მოწესრიგების მიუხედავად, ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში, ხსენებული ცნების პარალელურად, ხშირად გამოიყენება „კონსტიტუციური კონტროლის“ ცნებაც, რაც მნიშვნელოვან გაუგებრობასა და ტერმინოლოგიურ უზუსტობას იწვევს. „საკონსტიტუციო კონტროლი“ და „კონსტიტუციური კონტროლი“ ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა<sup>31</sup>.

„საკონსტიტუციო კონტროლი“, როგორც სამართლებრივი ცნება და ინსტიტუტი, უფლებამოსილი ორგანოების მიერ, სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელებული საქმიანობაა, რომელიც შეკავებისა და განონასწორების პრინციპის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.<sup>32</sup> რაც შეეხება „კონსტიტუციურ კონტროლს“, იგი გულისხმობს კონსტიტუციური ორგანოების

---

Ignaski J., Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, 1984, 84.

<sup>28</sup> ცნება „საკონსტიტუციო კონტროლი“ 1910 წლიდან იწყებს გავრცელებას. იხ., მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1999, 108.

<sup>29</sup> საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.

<sup>30</sup> იქვე, 83-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>31</sup> იხ., კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005, 11; კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, 2.

<sup>32</sup> Арутюнян Г.Г., Баглай М.В., Конституционное Право - Энциклопедический Словарь, Москва, 2006, 221. ასევე იხ., მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი“ - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998, 20.

მიერ *კონსტიტუციის შესაბამისად* განხორციელებულ საპარლამენტო, სამთავრობო, საპრეზიდენტო თუ სასამართლო კონტროლს, რომელიც ძალზედ ფართო ცნებაა.<sup>33</sup> ამ შემთხვევაში „კონსტიტუციური“ წარმოადგენს მსაზღვრელს და ადგენს თავად განსახორციელებელი საკონსტიტუციო კონტროლის კანონიერებას, შესაბამისობას კონსტიტუციასთან. ე.ი. „საკონსტიტუციო კონტროლი“ კონსტიტუციური კონტროლის ერთ-ერთი სახეა, რომელიც უფლებამოსილი ორგანოების მიერ ხორციელდება. შესაბამისად, დაუშვებელია მათი იდენტური მნიშვნელობით გამოყენება<sup>34</sup>.

აზრთა სხვადასხვაობაა „საკონსტიტუციო კონტროლისა“ და „საკონსტიტუციო ზედამხედველობის“ გამოყენებასთან დაკავშირებით<sup>35</sup>. მეცნიერთა ნაწილი მათ შინაარსობრივად განასხვავებს.<sup>36</sup> ლინგვისტური თვალსაზრისით, „ზედამხედველობა“ და „კონტროლი“ სრულიად იდენტური ცნებებია<sup>37</sup>, რომელთაც საერთო მიზანი გააჩნიათ<sup>38</sup>. არ არსებობს რაიმე რაციონალური კრიტერიუმი, რომლითაც მათ შორის განსხვავება შეიძლება დადგინდეს სამეცნიერო დონეზე. მელქაძეს მიაჩნია, რომ „კონტროლი“ კანონშემოქმედებით პრო-

<sup>33</sup> იხ., მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი“ - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, *ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“*, №1, 1998, 19.

<sup>34</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინოლოგიური განსხვავება გამოწვეულია ქართული ენის თავისებურებებიდან გამომდინარე, რომელიც საშუალებას იძლევა „საკონსტიტუციო“ და „კონსტიტუციური“ სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელ ცნებებად მივიჩნიოთ. ინგლისურსა და რუსულში სხნებულ ინსტიტუტი თითო ცნებით აღნიშნება: Constitutional Control (ინგლ.) და Конституционный Контроль (რუს.)

<sup>35</sup> საკონსტიტუციო ზედამხედველობა (Constitutional Review) და საკონსტიტუციო კონტროლი (Constitutional Control) ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის უდიდეს ნაწილში თანაბარმნიშვნელოვან ცნებებად გამოიყენება.

<sup>36</sup> იხ., მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი“ - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, *ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“*, №1, 1998, 21; კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, *ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“*, №4, 2005, 11.

<sup>37</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, *ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“*, №4, 2005, 12; იხ. ციტირება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას რედაქტორობით, 268; ასევე, იხ., კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, 2.

<sup>38</sup> იხ., ცნობილაძე პ., კონსტიტუციური კონტროლი და კონსტიტუციური ზედამხედველობა, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, 1992, 24.

ცესში გარკვეულ ჩარევასაც გულისხმობს და გაცილებით მკაცრ, ძლიერ ფორმას წარმოადგენს „ზედამხედველობასთან“ შედარებით<sup>39</sup>, თუმცა ამ შემთხვევაში საკითხისადმი მსგავსი მიდგომა განაპირობებს ხელოვნურ დაყოფას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს „საკონსტიტუციო ზედამხედველობის“ სამართლებრივ ცნებას. „საკონსტიტუციო ზედამხედველობად“ ნოდებული ინსტიტუტი, შინაარსობრივი თვალსაზრისით, გამოდის საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი სახე<sup>40</sup>, შესაბამისად, მაინც საკონსტიტუციო კონტროლი. მიზანშეწონილი არაა ცნებათა მსგავსი დაყოფა და განცალკევება, მი-თუმეტეს, როცა მათ შორის არც ლინგვისტური და არც შინაარსობრივი განსხვავება სინამდვილეში არ არსებობს<sup>41</sup>.

საქართველოს კონსტიტუცია გამოიყენებს როგორც „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს“, ისე „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს“, თუმცა ამ უკანასკნელს ძალზედ იშვიათად, ძირითადად, პირველი მათგანის ასახსნელად და დასაზუსტებლად.<sup>42</sup> ტერმინი „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი“ სასამართლოსაგან დისტანცირების

---

<sup>39</sup> მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი“ - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998, 21.

<sup>40</sup> ავტორთა განმარტებით, იგი შემდგომი (რეპრესიული) კონტროლის ანალოგია.

<sup>41</sup> ასევე გაუმართლებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტად მოხსენიება, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის პირველი პუნქტი მას პირდაპირ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოდ მოიხსენიებს. შეად., მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 373; მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი“ - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998, 21.

<sup>42</sup> საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის პირველ პუნქტში ნახსენებია ცნება „მოსამართლე“ და „წევრიც“; თუმცა ამავე მუხლის დანარჩენ პუნქტებში გამოიყენება მხოლოდ წევრი. მსგავსია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომლის მხოლოდ კონსტიტუციიდან დუბლირებული მე-5 მუხლი იხსენიებს ორივე ცნებას, ხოლო დანარჩენ მუხლებში ნახსენებია „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. იხ. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

ერთგვარი მცდელობა<sup>43</sup>, რათა მოხდეს საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს შორის არსებითი განსხვავების ხაზგასმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა და მასთან დაკავშირებული საკითხები გაერთიანებულია ცნებით - „სამართალწარმოება“, ამ შემთხვევაშიც ხდება საერთო სასამართლოებისთვის დამკვიდრებული ცნება - „პროცესისთვის“ გვერდის ავლა და მათ შორის არსებული განსხვავებების გამოვლენა. საქმის განხილვის მსგავსებების მიუხედავად, საკონსტიტუციო სამართალწარმოება თვითმყოფადი მოვლენაა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობა გააჩნია.

## 2. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსი

კონსტიტუცია ძირითადი სამართლებრივი და სოციალური დოკუმენტია, რომლითაც განისაზღვრება საჯარო ხელისუფლების განხორციელების საფუძვლები.<sup>44</sup> კვლენის თანახმად, „კონსტიტუციასთან შეუსაბამო (არაკონსტიტუციური) სამართალი საერთოდ არ წარმოადგენს სამართალს“, სწორედ ამიტომაც საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულებაა „იფქლის ღვარძლისაგან გარჩევა“<sup>45</sup>.

კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლს უნდა ახორციელებდეს მიუკერძოებელი, ნეიტრალური და კვალიფიციური სახელმწიფო ორგანო, რომლის მთავარი მიზანი კონსტიტუციის დაცვაა.<sup>46</sup> მათგან გამოსარჩევია საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოები, რომლებიც საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებენ მათთვის დადგენილი სპეციალური წესებისა და პროცედურის შესაბამისად.

---

<sup>43</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 346.

<sup>44</sup> Kulić D., The Constitutional Court of Yugoslavia in the Protection of Basic Human Rights, Osgood Hall Law Journal, Vol. 11, No. 2, 1972, 275.

<sup>45</sup> Pakalnytė K., The Lithuanian Constitutional Court: Its Nature, Structure, and Position in the Lithuanian Legal Order, International Journal of Baltic Law, Vol. 2, No. 1, 2005, 27.

<sup>46</sup> Kulić D., The Constitutional Court of Yugoslavia in the Protection of Basic Human Rights, Osgood Hall Law Journal, Vol. 11, No. 2, 1972, 276.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური სახეა, რომელსაც მართლმსაჯულების ორგანოები ან საკონსტიტუციო სასამართლოები ახორციელებენ სპეციალური სამართალწარმოების საშუალებით. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საკონსტიტუციო კონტროლის უმაღლესი ფორმაა და როგორც ნესი, რეპრესიულ და სავალდებულო ხასიათს ატარებს. იგი შესაძლებელია იყოს კონკრეტული ან აბსტრაქტული, როგორც მატერიალური, ისე - ფორმალური.<sup>47</sup> მისი მიზანია, „დაიცვას კონსტიტუცია, ანუ სახელმწიფოს მოქალაქეების კვალიფიციური უმრავლესობის ნება კანონმდებლის ან აღმასრულებელი ხელისუფლების არაკონსტიტუციური და არასამართლებრივი მოქმედებისაგან“<sup>48</sup>.

მთელი რიგი სახელმწიფოების კონსტიტუციებში საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, მეტიც, ზოგიერთ მათგანში მათ შესახებ სპეციალური თავებიც კი არსებობს.<sup>49</sup> კონსტიტუციური სამართლის უზენაესობა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულება სასიცოცხლოა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის.<sup>50</sup> ახალი დემოკრატიის ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოს გამორჩეული ადგილი უკავია და განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს<sup>51</sup>.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმარტებული სასამართლო (საერთო და საკონსტიტუციო) შემოიფარგლება სამართლებრივი საკითხების განხილვით, მის მიმართ მოქმედებს სამოსამართლო თვითბოჭვის პრინციპი<sup>52</sup>, რომლის მიხ-

---

<sup>47</sup> ნიშნიანიძე ნ., კონსტიტუციური იუსტიციის ფილოსოფიური შემეცნების საკითხისათვის, ჟურნ. „აღამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 28.

<sup>48</sup> შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ. „აღამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2003, 9.

<sup>49</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под. общ. ред. Баглая М. В., Лейбо Ю. И., Энтина Л. М., Москва, 2004, 348.

<sup>50</sup> Arnold R., Constitutional Courts of Central and Eastern European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Studies, Tulane European & Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 103.

<sup>51</sup> Мишин В., Конституционный Суд – Востребованный Временем Правовой Институт, Конституционное Правосудие, №2(28), 2005, 9.

<sup>52</sup> სამოსამართლო თვითბოჭვა ინგლისურენოვანი ცნების - Judicial Self-Restraint - ავთენტური ქართული თარგმანია.

ედვითაც, სასამართლო უნდა ეცადოს მაქსიმალურად აარიდოს თავი პოლიტიკას<sup>53</sup>.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელება შესაძლოა გულისხმობდეს საერთო სასამართლოების გადანაცვლებების კონსტიტუციურობის შემოწმებასაც (თუმცა მსგავსი უფლებამოსილებით აღჭურვილი სასამართლო არ იქცევა სააპელაციო ორგანოდ)<sup>54</sup>. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება მოითხოვს სპეციალური წესების - სამართალწარმოების პროცედურების არსებობას. მსგავს წესებს ადგენს კონსტიტუცია, შესაბამისი კანონმდებლობა და ხშირ შემთხვევაში თავად სასამართლოს რეგლამენტიც, რომელიც დაწვრილებით აღწერს სასამართლოს შიდაორგანიზაციულ საკითხებსა და სამართალწარმოების კანონმდებლობით მოუწესრიგებელ პროცედურებს<sup>55</sup>.

საკონსტიტუციო კონტროლის მართლმსაჯულების ფორმით განხორციელება უზრუნველყოფს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებების მაღალ დონეზე დაცვას, რადგან „კონსტიტუციის პირდაპირი, უშუალოდ მოქმედება არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ნორმები შესაძლოა განხორციელდეს კონკრეტული პროცედურებისა და მექანიზმების გარეშე, ანუ კანონით დადგენილი იურიდიული გარანტიების გვერდის ავლით“<sup>56</sup>. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოები შესაბამისი სამართალწარმოების საშუალებით უზრუნველყოფენ მარშალისეული „ცოცხალი კონსტიტუციის“ იდეის პრაქტიკაში არსებობას.

---

<sup>53</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под. общ. ред. Баглая М. В., Лейбо Ю. И., Энтина Л. М., Москва, 2004, 352; ხუბუა გ. სამართლის თეორია, თბილისი, 2004.

<sup>54</sup> Rupp H. G., Judicial Review in the Federal Republic of Germany, The American Journal of Comparative Law, Vol. 9, No. 1, 1960, 42.

<sup>55</sup> მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 376.

<sup>56</sup> გაუტალინი ა., საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოების ჩამოყალიბების პროცესი თათრეთის რესპუბლიკაში, თ. დემეტრაშვილის თარგმანი, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2000, 44.

### 3. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოები

#### 3.1. საკონსტიტუციო სასამართლოები

##### 3.1.1. ზოგადი მიმოხილვა

საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალური ორგანოს შესახებ დოქტრინის შემუშავება კელზენის სახელს უკავშირდება. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოებში იგი „ევროპული მოდელის“ სახელითაა ცნობილი. საკონსტიტუციო სასამართლო თავდაპირველი ინსტიტუტი „კელზენის დახურული სისტემის „სამართლის ესთეტიკის“ მოთხოვნებს შეესაბამებოდა“<sup>57</sup>. ევროპული მოდელი 1920 წლის ავსტრიის კონსტიტუციით იქნა შემოღებული. მართალია, ჩეხოსლოვაკიამ<sup>58</sup> ავსტრიამდე ადრე დაამკვიდრა საკონსტიტუციო კონტროლის კელზენისეული სისტემა, თუმცა მას ისეთი აღიარება არ მოუპოვებია, როგორც მის ავსტრიულ ანალოგს.<sup>59</sup> მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრმა სახელმწიფომ გადაწყვიტა საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღება, თითოეული მათგანის მოტივი და მიზანი კი განსხვავებული გახლდათ<sup>60</sup>.

---

<sup>57</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 284-285.

<sup>58</sup> ჩეხოსლოვაკიაში საკონსტიტუციო სასამართლო კელზენის იდეების გათვალისწინებით შეიქმნა, რაც კელზენის მეგობრის, ფრანც ვაირის დამსახურებაა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის იმდროინდელი კონსტიტუციის პროექტის ავტორი გახლდათ. იხ., Tetzlaff Th., Kelsen's Concept of Constitutional Review Accord in Europe and Asia: The Grand Justices in Taiwan, *National Taiwan University Law Review*, Vol. 1, No. 2, 2006, 77. იხ. ციტირება: Paulson S. L., *Constitutional Review in the United States and in Austria: Notes on the Beginning*, 16; Machacek R., *Verfahren Von Dem VfGH* 22, 3d ed., Vienna, 1997.

<sup>59</sup> Arnold R., *Constitutional Courts of Central and Eastern European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Studies*, *Tulane European & Civil Law Forum*, Vol. 18, 2003, 104.

<sup>60</sup> საკონსტიტუციო კონტროლის ნებისმიერი ფორმა უცხო იყო იტალიისთვის. იგი, როგორც ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი გახლდათ საერთო და ადმინისტრაციული სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნის შეზღუდვის საწინააღმდეგო მექანიზმი. იხ., Del Luca L. F., *Introduction of Judicial Review in Italy - Transition from Decentralized to Centralized Review (1948-1956) - A Suc-*

კელზენისეული, იგივე „ავსტრიული მოდელი“<sup>61</sup>, გულისხმობდა საერთო სასამართლოების სისტემის გარეთ სპეციალური ორგანოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა არაკონსტიტუციური საკანონმდებლო მოქმედებების წინააღმდეგ „კონსტიტუციურ დაცვას“<sup>62</sup>. კელზენის საკონსტიტუციო კონტროლის ცენტრალიზებული სისტემა ორი მთავარი მახასიათებლით გამოირჩეოდა: 1. საკონსტიტუციო კონტროლი უნდა განეხორციელებინა დამოუკიდებელ ორგანოს და 2. საკონსტიტუციო სასამართლო უნდა ყოფილიყო სასამართლო ხელისუფლების მიღმა<sup>63</sup>, სასამართლო ხელისუფლებისგან სრულიად გამიჯნული<sup>64</sup>. სწორედ ამგვარ სპეციალურ ორგანოს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც მოქმედებს სრულიად დამოუკიდებლად და ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს.

სპეციალური ორგანო არის განცალკევებული სახელმწიფო ორგანო, რომელიც მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად იქმნება და ფუნქციონირებს.<sup>65</sup> ფლეთჩერის აზრით, ზოგიერთ შემთხვევაში „საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედებს პარლამენტის ზედა პალატასავით - ღორდთა პალატის მსგავსად“<sup>66</sup>.

---

cessful Transplant Case Study, Penn State International Law Review, vol. 28 num. 3, 2010, 361.

<sup>61</sup> Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany, and Russia, Tulane European & civil law forum, vol.12, 1997, 26.

<sup>62</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 58.

<sup>63</sup> Garlicki L., Constitutional Courts Versus Supreme courts, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, №1, 2007, 44.

<sup>64</sup> Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany, and Russia, Tulane European & Civil Law Forum, vol.12, 1997, 25.

<sup>65</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 59.

<sup>66</sup> Sadurski W., Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence, Legal Studies Research Paper, No. 11/15, 2011, 15; იხ. ციტირება: Fletcher G., Basic Concepts of Legal Thought, New York, 1995, 25.

საკონსტიტუციო სასამართლო „ძლევამოსილ“ სახელისუფლებო ინსტიტუტთა კატეგორიას განეკუთვნება.<sup>67</sup> ის უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობასა და პირდაპირ მოქმედებას სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე,<sup>68</sup> იგი კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა.<sup>69</sup> სწორედ აღნიშნული წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს, რაც გამომდინარეობს თავად კონსტიტუციის სტატუსიდან. კონსტიტუციას განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავს სამართლებრივ სისტემაში, მას ისეთი როლი აკისრია, რომელსაც ვერცერთი სხვა დოკუმენტი ვერ ჩაანაცვლებს,<sup>70</sup> ერთდროულად წარმოადგენს ფილოსოფიას, პოლიტიკას, საზოგადოებასა და სამართალს,<sup>71</sup> აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გარეშე კონსტიტუციას იმგვარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, როგორც გააჩნია. სახელმწიფო ინსტიტუტები, მართალია, ვალდებული არიან დაიცვან კონსტიტუცია, თუმცა სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობა განაპირობებს მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების ცოდნას<sup>72</sup>.

### 3.1.2. ავსტრიული მოდელი

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ევროპულ მოდელს ავსტრიულსაც უწოდებენ<sup>73</sup>, თუმცა, თუ საკითხს სიღრმისეუ-

---

<sup>67</sup> Сергеев Д. Н., Конституционное Правосудие в России: Политико-Правовое исследование, Диссертация на соискание ученой степени кандидата политических наук (На правах рукописи), Москва, 2005, 19.

<sup>68</sup> Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 82.

<sup>69</sup> კვერენჩილაძე გ, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006, 39.

<sup>70</sup> Barak A., *Purposive Interpretation in Law*, Translated from Hebrew by Sari Bashi, Princeton, New Jersey, 2005, 371.

<sup>71</sup> იქვე, 370.

<sup>72</sup> Hailbronner K. and Hummel H. P., *Constitutional Law, Introduction to German Law*, Edited by Ebke W. F. and Finkin M. W., Kluwer Law International, 1996, 63.

<sup>73</sup> Hausmaninger H., *Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia*, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 12, 1997, 26.

ლად მიუვდგებით, მაინც შესაძლებელია გამოიყოს ევროპულ მოდელში ორი - ავსტრიული და გერმანული სისტემა, რომლებიც ერთმანეთისგან თვისობრივად და არა არსობრივად განსხვავდებიან.

საკონსტიტუციო სასამართლოს ავსტრიული მოდელი გამოირჩევა ცენტრალიზებული სისტემითა და სამართალწარმოების აბსტრაქტულობით, რასაც ავსტრიის 1920 წლის კონსტიტუციის „მამამ“, კელზენმა დაუდო სათავე და რაც განასხვავებს მას საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული სისტემისაგან.<sup>74</sup> კელზენმა კონსტიტუციის პროექტი ავსტრიის პრემიერ-მინისტრის, კარლ რენერის დავალებით შექმნა<sup>75</sup> და მასში მოახდინა საკუთარი იდეების რეალიზაცია - შექმნა საკონსტიტუციო ტრიბუნალი, შემდგომში საკონსტიტუციო სასამართლო (Verfassungsgerichtshof<sup>76</sup>).

ევროპულ მოდელში საკონსტიტუციო სასამართლოები წარმოადგენს საერთო სასამართლოების მიღმა არსებულ ინსტიტუციას<sup>77</sup>, რომლის მიზანიც კონსტიტუციის დაცვა<sup>78</sup> და საკანონმდებლო აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაა, თუმცა, ამის გარდა, ის მრავალი სხვა ფუნქციითაცაა აღჭურვილი<sup>79</sup>.

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს რვა ძირითადი უფლებამოსილება გააჩნია საკონსტიტუციო ნორმატკონტროლის სფეროში.<sup>80</sup> იგი უფლებამოსილია განიხილოს კანონმ-

---

<sup>74</sup> Faber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 50.

<sup>75</sup> Tetzlaff Th., Kelsen's Concept of Constitutional Review Accord in Europe and Asia: The Grand Justices in Taiwan, National Taiwan University Law Review, Vol. 1, No. 2, 2006, 77. იხ. ციტირება: Schmitz G., Die Vorentwürfe Hans Kelsens Für Die Österreichische Bundesverfassung 27, Vienna, 1997.

<sup>76</sup> Faber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 49.

<sup>77</sup> მო დ., უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №2, 2011, 6; იხ. ციტირება: Louis Favoreu, Les Cours constitutionnelles, PUF, France, 1986.

<sup>78</sup> Arnold R., Constitutional Courts of Central and Eastern European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Studies, Tulane European & Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 104.

<sup>79</sup> Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 12, 1997, 26.

<sup>80</sup> იქვე, 28.

დებლობასთან (და არამხოლოდ კონსტიტუციასთან) ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების შესაბამისობის საკითხი, როცა გერმანულ მოდელში საკონსტიტუციო სასამართლო განხილვის პროცესში, ნორმატიულ აქტებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენისას, უბრალოდ ყურადღებას არ აქცევს მსგავს ფაქტს<sup>81</sup>.

ავსტრიის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, ივარაუდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდა, კერძოდ, ადამიანის უფლებების ნაწილში საერთო და ადმინისტრაციული უმაღლესი სასამართლოების გადამწვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დაწესება, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო სისტემის სათავეში მოაქცევს.<sup>82</sup> ამ ცვლილების შემთხვევაში ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო და გერმანული მოდელის იდენტური იქნება და მათ შორის არსებული მთავარი განსხვავება აღმოიფხვრება.

### 3.1.3. გერმანული მოდელი

ავსტრიულის მოდიფიცირებულ ვერსიას წარმოადგენს გერმანული მოდელი, რომელიც გფრ-ის 1949 წლის ძირითადმა კანონმა დაამკვიდრა.<sup>83</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (Bundesverfassungsgericht<sup>84</sup>) ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც სასამართლო ხელისუფლების სისტემის სათავეშია<sup>85</sup>, რის გამოც მას, ერთგვარად, ჰიბრიდული ბუნება გააჩნია - საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოცაა და სასამართლოც<sup>86</sup>. ავსტრიის მსგავსად, მასაც მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები გააჩნია

---

<sup>81</sup> იქვე, 30-31. იხ ციტირება: Kommers D. P., *The Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany*, 2<sup>nd</sup> ed, 1997, 1-11.

<sup>82</sup> Faber R., *The Austrian Constitutional Court - An Overview*, *Vienna Journal on International Constitutional Law*, Vol. 1, 2008, 51.

<sup>83</sup> Hausmaninger H., *Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia*, *Tulane European and Civil Law Forum*, Vol. 12, 1997, 26.

<sup>84</sup> Hailbronner K. and Hummel H. P., *Constitutional Law, Introduction to German Law*, Edited by Ebke W. F. and Finkin M. W., *Kluwer Law International*, 1996, 63.

<sup>85</sup> Schlüter H., *The German Constitutional Court*, *Journal for South African Law*, #2, 1998, 284.

<sup>86</sup> ხუბუა გ., ტრაუტი ი., *კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში*, თბილისი, 2001, 15.

და სამოქალაქო უფლებების მტკიცე გარანტს წარმოადგენს.<sup>87</sup> საკონსტიტუციო სასამართლო არის ინსტიტუცია, რომლის მიზანია, დაიცვას კონსტიტუცია ხელისუფლების სამივე შტოს მიერ განხორციელებული დარღვევებისგან<sup>88</sup>.

გფრ-ის საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები, თუკი პირი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებით დარღვეულია მისი ძირითადი უფლებები.<sup>89</sup> ეს უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქცევს სააპელაციო ინსტანციად<sup>90</sup>, რადგან საქმის განხილვა არ შეეხება გასაჩივრებული შემთხვევის სამართლებრივ სისწორეს, დავის საგანი გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებების ნაწილია.

გერმანული მოდელი ავსტრიულისგან, ძირითადად, სწორედ მასში საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობით განსხვავდება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის უფლებამოსილებებს. მას განსაკუთრებულად მაღალი ავტორიტეტი გააჩნია არამარტო გფრ-ში, არამედ მთელ მსოფლიოში. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია საერთო სასამართლოების პრაქტიკის შეფასება და შემოწმება მოახდინოს, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილება, გარკვეული მოსაზრებების გამო, თავადვე შეიზღუდა<sup>91</sup>.

საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ევროპული მოდელი წარმატებული გამოდგა. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობამ სწორედ ევროპულ მოდელს (ავსტრიულ-გერმანული) მიანიჭა უპირატესობა.<sup>92</sup>

### 3.2. საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლოს ექვივალენტი ორგანოები

---

<sup>87</sup> Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 12, 1997, 30.

<sup>88</sup> Rupp H. G., Judicial Review in the Federal Republic of Germany, The American Journal of Comparative Law, Vol. 9, No. 1, 1960, 40.

<sup>89</sup> იქვე, 30.

<sup>90</sup> იქვე, 42.

<sup>91</sup> მელქაძე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999, 152.

<sup>92</sup> Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 12, 1997, 26.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კლასიფიკაციას მათი დაკომპლექტების წესის, მართლმსაჯულების სახისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა მოქმედების მიხედვით ახდენენ.<sup>93</sup> კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგნაირად მოხდეს: საერთო სასამართლოები (ყველა ინსტანცია); უმაღლესი სასამართლო ინსტანცია; სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო; საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლოები ერთობლივად; სპეციალური საკონსტიტუციო საბჭოები (ტრიბუნალები).<sup>94</sup> თავად კლასიფიკაცია კი ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება სასამართლო და არასამართლო ორგანოების მეშვეობით. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, რასაც მათი უფლებამოსილებების სპეციფიკა განაპირობებს.<sup>95</sup>

აშშ-ის კონსტიტუციამ, რომელიც თავისი სიმარტივით, სისადავითა და დახვეწილობით ნამდვილად გამორჩეულია, კონსტიტუციური ნორმების განარტების ფართო შემაჯობლობა მისცა უმაღლეს სასამართლოს, რომელიც კონსტიტუციის თანახმად, სწორედ მის მთავარ დამცველს წარმოადგენს.<sup>96</sup> აშშ-ის კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, უმაღლეს სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილებათა საკმაოდ დიდი წრე, რომელიც კიდევ უფრო გააფართოვა თავად სასამართლომ 1803 წლის საკონსტიტუციო პრეცედენტით.<sup>97</sup> შედეგად, უმაღლესი სასამართლო წარმოადგენს როგორც უმაღლეს სააპელაციო სასამართლოს, ისე უმაღლეს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც განიხილავს აქტების კონსტიტუციურობის საკითხს.<sup>98</sup> უმაღლესი სასამართლოს

---

<sup>93</sup> Dürr S. R., Comparative Overview of European Systems of Constitutional justice, *International Constitutional Law Journal*, Vol. 5, No. 2, 2011, 161.

<sup>94</sup> მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2000, 260; Karakamisheva-Jovanovska T., Different Models for Protection of Constitutionality, Legality and Independence of Constitutional Court of the Republic of Macedonia, 2<sup>nd</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Rio de Janeiro, 16-17 January 2011, 1-3.

<sup>95</sup> ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საკონსტიტუციო კონტროლი ძირითადად რელიგიური ხასიათისაა. იხ. მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, თბილისი, 1996, 67.

<sup>96</sup> Ntata Z.J.V., Constitutional Interpretation: Judicial Activism or Restraint, *European Journal of Law Reform*, Vol. X, no. 2, 2008, 255.

<sup>97</sup> Артемьев М., Как Работает Америка, Москва, 2009, 99.

<sup>98</sup> იქვე.

გარდა აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა ნებისმიერი ინსტანციის საერთო სასამართლოს შეუძლია<sup>99</sup>.

აშშ-ში საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების პარალელურად, ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, სასამართლოების მონაწილეობის თავიდან აცილების მიზნით, აიკრძალა სასამართლოს მიერ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების კანონიერების განხილვა სამართალშემოქმედებით საქმიანობაში.<sup>100</sup> საფრანგეთში კარგა ხანს ცდილობდნენ საერთო სასამართლოებს ჩამორთმეოდათ კანონის ინტერპრეტაციისა და პრეცედენტების შექმნის უფლებამოსილება. მაქსიმალურად იყო შეზღუდული, ასევე, სახელმწიფო საბჭოს უფლებამოსილება აქტების კანონიერების დადგენის თვალსაზრისით, სანამ 1958 წელს საფრანგეთის კონსტიტუციამ არ მოახდინა მნიშვნელოვანი სისტემური ცვლილებები,<sup>101</sup> რომლის შედეგადაც საფრანგეთში დამკვიდრდა საკონსტიტუციო კონტროლი, თუმცა უნიკალური, ფრანგული ფორმით<sup>102</sup> (1958 წლის კონსტიტუციით საკონსტიტუციო საბჭო პარლამენტის ზემდგომ ორგანოდ ჩამოყალიბდა)<sup>103</sup>.

საფრანგეთს დღემდე შემორჩა მისთვის დამახასიათებელი სიფრთხილე, რომლითაც იგი ეკიდება ხელისუფლების ორგანოთა კონტროლის საკითხს. საკონსტიტუციო საბჭო მთავრობისთვის პარლამენტის წინააღმდეგ არსებული მნიშვნელოვანი საშუალებაა.<sup>104</sup> მართალია, საკონსტიტუციო საბჭო

---

<sup>99</sup> დეცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში სახელმწიფოში არსებულ საერთო სასამართლოს ყველა ინსტანციას შეუძლია იმსჯელოს შესაბამისი აქტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. იხ., მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2000, 266; მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 380.

<sup>100</sup> Sadurski W., Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence, Legal Studies Research Paper, No. 11/15, 2011, 1; იხ. ციტირება: Sweet A. S., Why Europe Rejected American Judicial Review – and Why It May Not Matter, Michigan Law Review, N. 101, 2003, 2744.

<sup>101</sup> შვარცი პ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 53.

<sup>102</sup> იქვე, 55.

<sup>103</sup> კვერენჩილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია, №2, 1997, 59.

<sup>104</sup> კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 135.

არ წარმოადგენს სასამართლო ინსტიტუტს, თუმცა იგი საკონსტიტუციო სასამართლოს ექვივალენტი ორგანოა, რომელსაც კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილება გააჩნია. მსგავსია ირანში საკონსტიტუციო საბჭო, რომელსაც ანალოგიური ფუნქცია აკისრია და პარალელურად, აქტების ყურანთან შეაბამისობასაც განიხილავს<sup>105</sup>.

დღესდღეობით, ამერიკულ და ევროპულ სისტემებთან ერთად გვხვდება ე.წ. „შერეული მოდელიც“, რომელიც გულისხმობს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას როგორც საერთო სასამართლოების, ისე სპეციალური საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების მიერ<sup>106</sup>.

თითოეული სახელმწიფო თავად განსაზღვრავს, თუ რომელ მოდელს მიანიჭებს უპირატესობას. ეს კი ამ სახელმწიფოს ისტორიაზე, კულტურასა და ეთნოფსიქიკაზეა დამოკიდებული. თანამედროვე სამყაროში ყველა სამართლებრივი ინსტიტუტი ერთმანეთზე ზემოქმედებს, ხდება ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლა, სამართლებრივი სამყარო არაა ჩაკეტილი. ევროპაში საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო თუ არასასამართლო ორგანოებზე მნიშვნელოვნად მოქმედებს „ევროპული კონსტიტუციური არქიტექტურა“, რომელსაც ძირითადად ევროსასამართლო განაპირობებს, რომლის პრაქტიკაც უზრუნველყოფს ევროპაში საკონსტიტუციო კონტროლის ჰარმონიზაციას<sup>107</sup>.

#### 4. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ძირითადი სახეები

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სახეებზე საუბრისას, შეიძლება აღინიშნოს, რომ ისინი საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი სახეების მსგავსია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში მათ სასამართლო ორგანოები ახორციელებენ, ხოლო მეორეში არასასამართლო ორგანოებიც ემატება სათვალავს.

---

<sup>105</sup> მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, თბილისი, 1996, 67.

<sup>106</sup> მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 378.

<sup>107</sup> Sadurski W., Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence, Legal Studies Research Paper, No. 11/15, 2011, 7.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება შეიძლება იყოს აბსტრაქტული და კონკრეტული.<sup>108</sup> აბსტრაქტული კონტროლი ბევრი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებში შედის, თუმცა მისი გამოყენების შემთხვევები არცთუ ისე ხშირია.<sup>109</sup> „აბსტრაქტული კონტროლი ხელისუფლების ერთი შტოს წარმომადგენელს ყოველთვის აძლევს საშუალებას, მოითხოვოს ხელისუფლების მეორე შტოს წარმომადგენელი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურობა.“<sup>110</sup> ფედერალურ სახელმწიფოში აბსტრაქტული კონტროლის მექანიზმი ფედერალური და მიწის მთავრობებს შორის საკონსტიტუციო დავის შემთხვევაში გვევლინება, როცა ფედერალურ მთავრობას მიაჩნია მიწის კანონი ან პირიქით, მიწის მთავრობას - ფედერალური კანონი არაკონსტიტუციურობა<sup>111</sup>.

კონკრეტული კონტროლი ცალკეულ შემთხვევათა განხილვასა და გადაწყვეტას გულისხმობს.<sup>112</sup> კონკრეტული კონტროლის მექანიზმის კლასიკურ მაგალითად აშშ მოიაზრება<sup>113</sup>. ჰაბერმასი აბსტრაქტულ კონტროლთან შედარებით, კონკრეტულ კონტროლს მიიჩნევს უპირატესად, მისი აზრით, ინდივიდუალური შემთხვევებიდან გამომდინარე შეტანილი კონსტიტუციური სარჩეულების განხილვისას სასამართლო შეზღუდულია ნორმის განმარტებისა და გამოყენების საქმეში<sup>114</sup>.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება შეიძლება იყოს როგორც წინასწარი (პრევენციული), ისე - შემდგომი (რეპრესიული).<sup>115</sup> წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციე-

---

<sup>108</sup> Faber R., *The Austrian Constitutional Court - An Overview*, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 50.

<sup>109</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა ნე-სრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 59.

<sup>110</sup> კახიანი გ., აბსტრაქტული ნორმატკონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში, სამართლის ჟურნალი, №1, 2009, 62.

<sup>111</sup> Faber R., *The Austrian Constitutional Court - An Overview*, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 50.

<sup>112</sup> იქვე.

<sup>113</sup> Sadurski W., *Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence*, Legal Studies Research Paper, No. 11/15, 2011, 5.

<sup>114</sup> იქვე, 5; იხ. ციტირება: Habermas J., *Between Fact and Norms*, Translated by William Rehg, Cambridge, 1996, 261.

<sup>115</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под. общ. ред. Баглая М. В., Лейбо Ю. И., Энтина Л. М., Москва, 2004, 350.

ლება შესაძლებელია სამართლებრივი აქტის მიღებამდე, მის პრომულგაციამდე ან ამოქმედებამდე და მისი მიზანია კონსტიტუციასთან შეუსაბამო აქტის ამოქმედების თავიდან აცილება.<sup>116</sup> წინასწარი კონტროლისგან განსხვავებით, შემდგომი კონტროლის შემთხვევაში, ადგილი აქვს უკვე ამოქმედებული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვას<sup>117</sup>.

საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს შეუძლია კანონის (ორგანული) კონსტიტუციურობის განხილვა მის პრომულგაციამდე, როცა სხვა ბევრ ევროპულ სახელმწიფოში საკონსტიტუციო სასამართლოები მხოლოდ *ex post* არიან უფლებამოსილნი, განიხილონ აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი.<sup>118</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო საბჭო აღჭურვილია როგორც პრევენციული, ისე რეპრესიული კონტროლის მექანიზმით, თუმცა პრევენციული კონტროლი ორგანული კანონების მიმართ გამოიყენება მათ პრომულგაციამდე, ამასთან, სავალდებულო წესით, ხოლო ჩვეულებრივი კანონების მიმართ რეპრესიული კონტროლი მოქმედებს<sup>119</sup>.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია როგორც ძალაში შესული, ისე ასამოქმედებელი აქტების კონსტიტუციურობის საკითხი განიხილოს (*ex ante*).<sup>120</sup>

წინასწარი კონტროლის ძირითადი უპირატესობა შემდგომთან ისაა, რომ ამ შემთხვევაში ხდება არაკონსტიტუციური აქტების მოქმედების პრევენცია<sup>121</sup>. მეორე მხრივ, პრევენციული (*a priori*) კონტროლი პოლიტიზებულს ხდის თავად

---

<sup>116</sup> მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 379.

<sup>117</sup> Конституционное Право Зарубежных Стран, Под. общ. ред. Баглая М. В., Лейбо Ю. И., Энтина Л. М., Москва, 2004, 350-351; ასევე იხ. მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 379.

<sup>118</sup> Sadurski W., Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence, Legal Studies Research Paper, No. 11/15, 2011, 9.

<sup>119</sup> კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 138-139.

<sup>120</sup> Sadurski W., Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence, Legal Studies Research Paper, No. 11/15, 2011, 9.

<sup>121</sup> Kim J., Some Problems with the Korean Constitutional Adjudication System, Journal of Korean Law, Vol. 1, No. 2, 2001, 22.

მართლმსაჯულებას და სასამართლოს ითრევს პოლიტიკურ ორომტრიალში<sup>122</sup>. „შერეული მოდელის“ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მქონე სახელმწიფოებში ხშირად შემდგომ კონტროლს საერთო სასამართლოები ახორციელებენ, საკონსტიტუციო სასამართლოები კი მიმართავენ როგორც წინასწარი, ისე შემდგომი კონტროლის მექანიზმს<sup>123</sup>.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება შესაძლებელია იყოს საკონსულტაციო და დამდგენი ხასიათის. პირველ შემთხვევაში კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებას, დასკვნას აქვს მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათი და მისი შესრულება სავალდებულო არაა, ხოლო მეორე შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება უშუალოდ და პირდაპირ მოქმედებს და ზოგადი ხასიათი გააჩნია.<sup>124</sup>

განასხვავებენ სავალდებულო და ფაკულტატურ, გარეგან და შინაგან, *ex tunc* და *ex nunc* საკონსტიტუციო კონტროლს<sup>125</sup>, თუმცა უშუალოდ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებასთან მიმართებით ისინი არცთუ ისე აქტუალურია.

## 5. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სამართლებრივი ბუნება

### 5.1. სამართლებრივი ელემენტები

იმისათვის, რათა თავიდან აეცილებინა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პოლიტიზება, კვლევმა თავდაპირველად კონსტიტუციიდან ამოიღო ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რითაც ტრიბუნალის საქმიანობა შემოფარგლავს უარყოფითი სამართალშემოქმედებით („ნეგატიური კანონმ-

<sup>122</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 70.

<sup>123</sup> მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 379.

<sup>124</sup> გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998, 28.

<sup>125</sup> იხ., კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 26-32.

დებლობით“) და მხოლოდ პირთა ძალზედ შეზღუდულ წრეს მიანიჭა ტრიბუნალისათვის მიმართვის უფლება.<sup>126</sup>

კელზენი თანამედროვე ნორმატივიზმის წარმომადგენელი გახლდათ და მიაჩნდა, რომ სამართალი უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი გარე, დამატებითი ელემენტისაგან, იგი უნდა იყოს შეურყენელი და „წმინდა“, ამიტომაც გასაკვირი არაა, თუ რატომ სცადა საკონსტიტუციო ტრიბუნალისგან ყოველგვარი პოლიტიკური ელემენტის მოშორება.<sup>127</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისას გამოიყენება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი სამეცაპიანი მოქმედებათა სქემა: 1. შესაბამისი წესის (ნორმის) მოძიება; 2. ნორმის განმარტება; 3. ნორმის მისადაგება კონკრეტულ შემთხვევასთან.<sup>128</sup>

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ნორმის განმარტებას, რაც სამართლის აუცილებელი, თანმხლები მოვლენაა. მოსამართლემ არ უნდა განმარტოს კონსტიტუციური ნორმა საკუთარი მსოფლმხედველობის შესაბამისად. მისი განმარტება უნდა იყოს ობიექტური,<sup>129</sup> რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვქვეშ დგება თავად გადაწყვეტილების კანონიერებისა და მიუყვარძობლობის ფაქტი.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ხასიათდება შემდეგი სამართლებრივი ელემენტებით:

1. მას ახორციელებს კონსტიტუციურ საწყისებზე შექმნილი სპეციალური საკონსტიტუციო ან საერთო სასამართლო, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება კანონით;
2. საკონსტიტუციო დავების განხილვისას გამოიყენება სპეციალური სამართალწარმოების წესი;

---

<sup>126</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 57.

<sup>127</sup> იხ., Kelsen H., Pure Theory of Law, Translated from the second (revised and enlarged) German edition by M. Knight, Los Angeles, London, 1970; ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 34-36.

<sup>128</sup> Pound R., Courts and Legislation, Science of Legal Method, Selected Essays of Various Authors, The Modern Legal Philosophy Series, Translated by Ernest Bruncken and Layton B. Register, with introductions by Henry N. Sheldon and John W. Salmond, New York, 1921, 208.

<sup>129</sup> Barak A., Purposive Interpretation in Law, translated from Hebrew by Sari Bashi, Princeton, New Jersey, 2005, 393.

3. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შედეგად მიღებული გადანყვეტილებები ზოგადსავალდებულო ხასიათისაა და მათზე ვრცელდება პრომოულგაციისათვის დადგენილი სა-მართლებრივი რეჟიმი;

4. შესაბამისი სასამართლო დამოუკიდებელია და არ არსებობს რაიმე სახის სამართლებრივი ბერკეტი, რომლითაც შესაძლებელია მისი დაშლა, დათხოვნა და ა.შ., თუკი ამას თავად კონსტიტუცია არ გაითვალისწინებს და რაც მისი, როგორც ინსტიტუტის არსის დარღვევა არ იქნება;<sup>130</sup>

5. სასამართლოს გადანყვეტილება გამოაქვს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპების, კონსტიტუციის, სამართლებრივი დოქტრინისა და თეორიის, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით;

6. დასაბუთებისათვის გამოიყენება მსოფლიოს ავტორიტეტული საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების გადანყვეტილებები, მსჯელობა და დასაბუთება. მაგ., აშშ-ის უმაღლესი სასამართლო, გფრ-ის საკონსტიტუციო სასამართლო, ევროსასამართლო და სხვ.;

7. ნორმის განმარტება ხდება სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, გამოიყენება სუბსუმფციის, დედუქციისა და ინდუქციის, ასევე, სამართლის მეცნიერებაში აპრობირებული ყველა ცნობილი მეთოდი, რათა მიღებულ იქნას ობიექტური და სწორი გადანყვეტილება.

## 5.2. იდეოლოგიური და სოციალური ელემენტები

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო ეყრდნობა მხოლოდ კონსტიტუციას, რომელიც მისთვის მთავარი სამოქმედო დოკუმენტია და ემორჩილება მხოლოდ მას; ამონიშნებს ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას, რაც გულისხმობს აქტის შესაბამისობის დადგენას კონსტიტუციასთან მიმართებით, კონსტიტუციის ნორმის განმარტებას.

---

<sup>130</sup> მსგავსი მცდელობა ჰქონდა აშშ-ის პრეზიდენტს, ფ. დ. რუზველტს, თუმცა მისი მცდელობა სრული კრახით დასრულდა. იხ., Артемьев М., Как Работает Америка, Москва, 2009, 99-100.

განსხვავებული სახელმწიფო და სამართლებრივი სისტემები აღიარებენ, რომ კონსტიტუცია მისი მიზნობრიობიდან გამომდინარე უნდა განიმარტოს.<sup>131</sup> კონსტიტუციის განმარტებისას სასამართლოს აზრი გაცილებით მეტია, ვიდრე კონკრეტული კონსტიტუციური ტექსტის განმარტების შესახებ მოყვანილი ქმედითი სახელმძღვანელო პრინციპი (დირექტივა).<sup>132</sup> შესაბამისად, აუცილებელია, კონსტიტუციის, როგორც მრავალმნიშვნელოვანი დოკუმენტის რაობასა და მნიშვნელობაზე გამახვილდეს სათანადო ყურადღება.

ბარაკის აზრით, „კონსტიტუცია ასახავს წარსულს, საფუძველს უქმნის აწმყოს და აყალიბებს მომავალს... იგი ერთდროულად წარმოადგენს ფილოსოფიას, პოლიტიკას, საზოგადოებასა და სამართალს“<sup>133</sup>. კონსტიტუცია კონკრეტული იდეოლოგიის ნაყოფია, იგი ეფუძნება ერის კულტურულ მიღწევებს. აშშ-ის კონსტიტუცია ევროპელი და ამერიკელი განმანათლებლების იდეოლოგიების ნახავს წარმოადგენს, რომელმაც საკუთარ თავში ასახა იმდროინდელი სამყაროს საუკეთესო მიგნებები თავისუფალი აზროვნებისა და სამართლის სფეროში.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება მოიცავს სწორედ კონსტიტუციაში გატარებულ იდეოლოგიურ და სოციალურ ელემენტებს, ვინაიდან იგი ემსახურება კონსტიტუციას და კონსტიტუციით დაფუძნებული მართლწესრიგის სტაბილურობის დაცვას.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი სახე ასახავს:

1. ხელისუფლების დანაწილების, შეკავებისა და განონასწორების სისტემებს;

2. დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს იდეებს;

3, კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობას;

4. სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებულობას;

5. ადამიანის, როგორც თავისუფალი პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ძირითად გარანტიებს, მათ

---

<sup>131</sup> Barak A., *Purposive Interpretation in Law*, Eranslated from Hebrew by Sari Bashi, Princeton, New Jersey, 2005, 371.

<sup>132</sup> იქვე, 380.

<sup>133</sup> იქვე, 370.

შორის, დარღვეული უფლების აღდგენისა და რეალიზაციის შესაძლებლობებს;

6. საზოგადოების უსაფრთხოებისა და პოლიტიკური სიმშვიდის უზრუნველყოფის გარანტიებს.

### 5.3. პოლიტიკური ელემენტები

ევროპელ და ამერიკელ იურისტთა უმრავლესობის აზრით, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების სფეროში, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება დავას ფედერაციის სუბიექტსა და ფედერალურ მთავრობას შორის. ასეთ ვითარებაში საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკური მშვიდობის გარანტიად, დავის მიუკერძოებლად გადაწყვეტის უფლებამოსილ ორგანოდ გვევლინება<sup>134</sup>.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა პოლიტიკური ფუნქცია არ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ დასავლური ტიპის დემოკრატიებში.<sup>135</sup> არათუ საკონსტიტუციო, არამედ საერთო სასამართლოებიც უკვე კარგა ხანია აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში და ხშირად სასამართლოებსაც უწევთ ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საკითხთა გადაწყვეტა.<sup>136</sup> მილერის აზრით, „საკითხავია არა ის, დაკავებულია თუ არა სასამართლო პოლიტიკით, არამედ ის, თუ სად, რა შემთხვევებში, რამდენად და რა შედეგით ახორციელებს ამას“<sup>137</sup>.

ზოგადად, სასამართლო პოლიტიკა სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკური საქმიანობაა, ანუ იგი „პოლიტიკურია“ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს სასამართლოს, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს მიერ

---

<sup>134</sup> Витрук Н.В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 83.

<sup>135</sup> Сергеев Д. Н., Конституционное Правосудие в России: Политико-Правовое Исследование, Диссертация на соискание ученой степени кандидата политических наук (На правах рукописи), Москва, 2005, 13.

<sup>136</sup> იქვე, 15-16.

<sup>137</sup> Miller A., The Supreme Court and American Capitalism, New York, 1968, 4.

სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას.<sup>138</sup> პარლამენტის მიერ კანონის მიღება სამართლებრივთან ერთად პოლიტიკური პროცესიცაა, ასევეა მისი გაუქმებაც და არა აქვს მნიშვნელობა ამას უშუალოდ პარლამენტი ახორციელებს, თუ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანო<sup>139</sup>.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნება „პოლიტიკური საქმიანობა“ (Politics) არაა ზუსტად განსაზღვრული, იგი ძალზედ ბუნდოვანია. ეს იწვევს უარყოფით დამოკიდებულებას, ამიტომაც უმჯობესია, თუკი მოსამართლეები მისგან შორს დაიჭერენ თავს,<sup>140</sup> მართლაც, სასამართლომ შორს უნდა დაიჭიროს თავი პოლიტიკასაგან, თუმცა ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ის საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოები, რომელთა მთავარი დანიშნულება სწორედ პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეთა განხილვა და გადაწყვეტაა.

აშშ-ის უმაღლესი სასამართლო მნიშვნელოვანი მოთამაშეა აშშ-ის პოლიტიკაში. მას შეუძლია მნიშვნელოვანი ძვრების გამოწვევა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის სფეროში. მაგ., რუზველტის პრეზიდენტობის პერიოდში, სასამართლომ დაბლოკა პრეზიდენტის რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური წინადადება. ამის საპასუხოდ, პრეზიდენტმა სასამართლოს წინააღმდეგ ვერ გამოახსნა ვერცერთი ქმედითი სამართლებრივი თუ პოლიტიკური ბერკეტი<sup>141</sup>.

მიზეზი იმისა, თუ როგორ უმტკივნეულოდ და ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე დაამკვიდრა მოსამართლე მარშალმა საკონსტიტუციო კონტროლი აშშ-ში<sup>142</sup>, საკმაოდ მარტივია: ამ შემთხვევაში, პრეზიდენტ ჯეფერსონის ადმინისტრაციისა და უმაღლესი სასამართლოს აზრი დაემთხვა ერთმანეთს, პირველს სურდა საქმის მოგება, ხოლო მეორეს - საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების დაკანონება სასამართლოსათვის, რისი მიღწევაც სარჩელის არდაკმაყო-

---

<sup>138</sup> Барак А., Судейское Усмотрение, Перевод с английского, Под редакцией В. А. Кикотя и Б. А. Страшуна, Москва, 1999, 301.

<sup>139</sup> კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, 51, იხ. ციტირება: Нудель М. А., Конституционный Контроль в Капитаческих Государствах, Москва, 1968, 42.

<sup>140</sup> იქვე, 302.

<sup>141</sup> Артемьев М., Как Работает Америка, Москва, 2009, 99-100.

<sup>142</sup> იხ., შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 52.

ფილებით გახლდათ შესაძლებელი. საკითხის პოლიტიკურობაზე ისიც მეტყველებს, რომ აშშ-ში უმაღლესმა სასამართლომ „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ საქმიდან 54 წლის შემდეგ განიხილა მორიგი კონსტიტუციური საჩივრი<sup>143</sup>.

საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოები ხშირად ხდებიან პოლიტიკური მანიპულირებისა და „ვაჭრობის“ საგანი, რასაც მათი ძალზედ პოლიტიკური ხასიათი განაპირობებს.<sup>144</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაიცვას ზღვარი და პოლიტიკაში აქტიური მოქმედებით არ უნდა ჩაერიოს, არ უნდა ჩაანაცვლოს საკანონმდებლო ორგანო ფუნქციურად<sup>145</sup>.

პოლიტიკური მეცნიერება (პოლიტოლოგია) არამხოლოდ წარმოიშვა იურიდიული მეცნიერებიდან, არამედ დღესაც მუდმივად ურთიერთქმედებს მასთან.<sup>146</sup> ამის ყველაზე ნათელი მაგალითი კონსტიტუციური სამართალია, რომელსაც პოლიტიკურ სამართალსაც კი უწოდებენ. იგი წარმოდგენილია კონსტიტუციური ინსტიტუტებით, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დავების ხასიათი განაპირობებს გარდაუვალ შეხებას პოლიტიკასთან, რადგანაც საქმის განხილვისას ყოველთვის საუბარია სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის ზღვარზე.<sup>147</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ხასიათდება შემდეგი პოლიტიკური ელემენტებით:

1. მისი მიზანია პოლიტიკურ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს შორის არსებული დავის სამართლებრივი გადაწყვეტა;

---

<sup>143</sup> იქვე.

<sup>144</sup> კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 137-138; კვერენჩილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია, №2, 1997, 63.

<sup>145</sup> 1995 წელს ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა საკონსტიტუციო სასამართლო ალტერნატიული პარლამენტული მოქმედებაში დაადანაშაულა, რის გამოც, მთავრობის გადაწყვეტილებით, სასამართლოს დაატოვებინეს კუთვნილი შენობა. იხ., კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, 55.

<sup>146</sup> Сергеев Д. Н., Конституционное правосудие в России: политико-правовое исследование, Диссертация на соискание ученой степени кандидата политических наук (На правах рукописи), Москва, 2005, 17.

<sup>147</sup> იქვე, 19.

2. მისი განმახორციელებელი სასამართლოები კომპლექტდება ხელისუფლების ერთი, ორი ან სამი შტოს მონაწილეობით, სახელმწიფოში არსებული შესაბამისი პოლიტიკური მდგომარეობის, სახელმწიფო მმართველობის რეჟიმის გათვალისწინებით;<sup>148</sup>

3. ხშირად მიიღება პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომელთაც შეუძლიათ სახელმწიფოში პოლიტიკური ამინდის შეცვლა. ამასთან, იგი ხელისუფლების დემოკრატიულობის მნიშვნელოვანი გარანტია<sup>149</sup>;

4. განიხილება სახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკური (და არამხოლოდ პოლიტიკური) თანამდებობის პირთა იმპიჩმენტისა და პასუხისმგებლობის საკითხები;

5. შეუძლია მნიშვნელოვნად შეაფერხოს სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური რეფორმები;<sup>150</sup>

---

<sup>148</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში - მაგ., პარლამენტი და პრეზიდენტი (Law on the Constitutional Court of the Republic Armenia, art. 1(1), 9 December 1997; იხ., კვერენჩილაძე გ., საკონსტიტუციო კონსტიტუციის საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 61.); მხოლოდ პარლამენტი (Law on the Federal Constitutional Court of the Federal Republic of Germany, art. 5(1), 12 March 1951, Federal Law Gazette I p. 243; Constitution of the Republic of Latvia, art. 85, 15 February 1922; Constitutional Court Law of the Republic of Latvia, art. 4(1), 14 June 1996.); პარლამენტი, პრეზიდენტი და სასამართლო ერთობლივად (საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი, №768-რს, საქართველოს პარლამენტის უწყებები №31-33, 1995 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს; Constitution of Ukraine, art. 148(2), 28 June 1996; Law on the Constitutional Court of the Republic of Lithuania, art. 4, 3 February 1993, No. I-67.); სახელმწიფოს მეთაური, საკანონმდებლო ორგანოს ან სასამართლოს წარდგინებით (Tanchev E., Constitutional Control in Comparative and Bulgarian prospective, 1<sup>st</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Cape Town, 23–24 January 2009, 21)

<sup>149</sup> Sekhniashvili E., Economic Consequences of the Constitutional Control and the Impact of the Constitutional Justice on the Transitional Economy in Georgia; Constitutional Court as Political Actor in the Political System, National Council for Eurasian and East European Research Carnegie Research Fellowship Program Research Paper, 27.

<sup>150</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/80-9 საქმეზე „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოში სასამართლო რეფორმა; Артемьев М., Как Работает Америка, Москва, 2009, 99-100.

6. განიხილება პირებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის დავა, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. კელზენის აზრით, საკონსტიტუციო კონტროლი წმინდა პოლიტიკური ფუნქცია გახლდათ.<sup>151</sup> სწორედ ამგვარ დავათა პოლიტიკური ხასიათის გამო ამოიღო მათზე განსჯადობა კელზენმა ავსტრიის საკონსტიტუციო ტრიბუნალის უფლებამოსილებებიდან 1920 წლის ავსტრიის კონსტიტუციაში<sup>152</sup>;

7. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოები განმარტავენ კონსტიტუციას და მისი განმარტებები სავალდებულოა ნებისმიერი პირისა თუ ორგანოსათვის. კონსტიტუციის, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტის განმარტება კი, თავის მხრივ, პოლიტიკაში ჩართვას განაპირობებს<sup>153</sup>, ამით სასამართლო ფაქტობრივად პოლიტიკური სამართლის ერთ-ერთი შემოქმედია<sup>154</sup>.

## **თავი II. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ძირითადი ასპექტები საქართველოში**

### **1. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კონსტიტუციური საფუძვლები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური ინსტიტუტია, რომლის საქმიანობისა და უფლებამოსილებების ძირითადი საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება. არსებობს მოსაზრება, რომ, ვინაი-

---

<sup>151</sup> Dürr S. R., Comparative Overview of European Systems of Constitutional justice, *International Constitutional Law Journal*, Vol. 5, No. 2, 2011, 159; იხ. ციტირება: Hans Kelsen, *la garantie juridictionnelle de la Constitution*, 44 R.D.P. 197 (1928).

<sup>152</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუზლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 57.

<sup>153</sup> იხ., Sekhniashvili E., *Economic Consequences of the Constitutional Control and the Impact of the Constitutional Justice on the Transitional Economy in Georgia; Constitutional Court as Political Actor in the Political System*, National Council for Eurasian and East European Research Carnegie Research Fellowship Program Research Paper, 26.

<sup>154</sup> Schlüter H., *The German Constitutional Court*, *Journal for South African Law*, №2, 1998, 284.

დან საკონსტიტუციო სასამართლო დავეხმარებოთ განიხილავს სპეციალური, საკონსტიტუციო სამართალწარმოების გზით, ამ ელემენტით ის შეიძლება მივაკუთვნოთ სასამართლო ხელისუფლებას.<sup>155</sup> ფორმალურ-დოგმატური თვალსაზრისით, სასამართლო ხელისუფლების შტო წარმოადგენს წმინდა სამართლებრივ ხელისუფლებას და არა - პოლიტიკურს.<sup>156</sup> ამ პრინციპის გათვალისწინებით, მას საერთოდ არაფერი ესაქმება პოლიტიკურ ძალებს შორის წამოჭრილი დავეხმარებოთ გადაწყვეტის პროცესში.

ძირითად შემთხვევებში, სახელმწიფოში, სადაც არსებობს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სპეციალური ორგანო, არ შეიძლება ის განვიხილოთ სასამართლო ხელისუფლების შემადგენელ ნაწილად, მიუხედავად იმისა, კონსტიტუციაში სასამართლო ხელისუფლების თავში არის მოთავსებული, თუ - არა. ეს უკანასკნელი საკანონმდებლო ტექნიკისა და გემოვნების საკითხი უფროა<sup>157</sup> და არ შეიძლება მას სიღრმისეული აზრობრივი დატვირთვა შევძინოთ. ავსტრიული მოდელი სწორედ რომ ხელისუფლების შტოებისგან დამოუკიდებელი, ცენტრალიზებული და სპეციალიზებული კონტროლის ორგანოს ჩამოყალიბებას ისახავდა მიზანს<sup>158</sup>, რომელიც არსობრივად განსხვავებული იქნებოდა ამერიკული მოდელისგან, რომლის მიხედვითაც, თავად სასამართლო ხელისუფლებაა აღჭურვილი საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს მომწესრიგებელი კონსტიტუციური ნორმები მართლმსაჯულების თავში საერთო სასამართლოებთან ერთადაა თავმოყრილი.<sup>159</sup> საქართველოს კონსტიტუცია საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო ხელი-

---

<sup>155</sup> Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 84.

<sup>156</sup> Сергеев Д. Н., Конституционное правосудие в России: политико-правовое исследование, Диссертация на соискание ученой степени кандидата политических наук (На правах рукописи), Москва, 2005, 13.

<sup>157</sup> ზოგიერთი სახელმწიფოს კონსტიტუციაში საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკე თავიც ეთმობა, თუმცა სახელმწიფოთა გარკვეული ნაწილის ძირითად კანონში ის მართლმსაჯულების თავშია ინტეგრირებული. იხ., მეღვაჭე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 375.

<sup>158</sup> Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany, and Russia, Tulane European & Civil Law Forum, vol.12, 1997, 25

<sup>159</sup> იხ., საქართველოს კონსტიტუციის მე-5 თავი (82-91 მუხლები), საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.

სუფლებას მიაკუთვნებს საერთო სასამართლოებთან ერთად<sup>160</sup>, თუმცა განასხვავებს მართლმსაჯულების ორგანოებისგან და მას განსაკუთრებულ - საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სტატუსითა და უფლებამოსილებებით აღჭურავს<sup>161</sup>. სასამართლო ხელისუფლებისადმი ფორმალური მიკუთვნების მიუხედავად, ცალსახად არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას წარმოადგენს და მისი სამართლებრივი ბუნება მკაფიოდაა განსაზღვრული<sup>162</sup>.

კონსტიტუციით განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა<sup>163</sup>, მისი დაკომპლექტების წესი და პირობები<sup>164</sup>, სასამართლოს წევრის ცენზები<sup>165</sup>, იმუნიტეტი<sup>166</sup> და სტატუსი, სასამართლოს უფლებამოსილებები<sup>167</sup>, რითაც კონსტიტუცია ქმნის იმ კონსტიტუციურ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც საკონსტიტუციო სასამართლო წარმოგიდგება, როგორც კომპრომისისა და შერიგების ორგანო (საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა კონფლიქტის შემთხვევაში), როგორც საზოგადოებაში პოლიტიკური მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, კონსტიტუციურ ფასეულობათა დამცველი, კონსტიტუციური წესრიგის სადარაჯოზე მდგომი ინსტიტუტი<sup>168</sup>.

## 2. საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების თაობაზე

სახელმწიფოთა უმრავლესობა, რომელიც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების სუვერენული უფლებით

<sup>160</sup> იქვე, 82-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>161</sup> იქვე, 83-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

<sup>162</sup> იხ., Гегенава Д., Правовая Природа Конституционного Суда, Как Специального Органа Конституционного Контроля и Его Место Среди Высших Органов Власти, International Students' Olympiad in National and Comparative Constitutional Law, Batumi, 2011, 184-202.

<sup>163</sup> საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს

<sup>164</sup> იქვე.

<sup>165</sup> იქვე, მე-3 და მე-4 პუნქტები.

<sup>166</sup> იქვე მე-5 პუნქტი.

<sup>167</sup> იქვე, 89-ე მუხლი.

<sup>168</sup> Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 82.

საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურავს, ქმნის სპეციალურ კანონმდებლობას, რომლის საფუძველზე სასამართლო ახორციელებს თავის ფუნქციებს<sup>169</sup>. კონსტიტუციის მნიშვნელობიდან და მოცულობიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია საკონსტიტუციო კონტროლის ყველა დეტალი დაიტიოს საკონსტიტუციო ნორმებმა. სპეციალური კანონმდებლობა განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურას, სამართალწარმოების პროცედურებს<sup>170</sup> - ახდენს ზოგადი კონსტიტუციური ნორმების პრაქტიკულ, სპეციალურ იმპლემენტაციასა და გაშლას.

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მისი შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.<sup>171</sup> კონსტიტუციური ნორმის შესაბამისად, მოქმედებს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“<sup>172</sup>, რომელიც განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესს, უფლებამოსილებებს, სტრუქტურას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და სამართალწარმოების პროცედურულ საკითხებს.

ორგანული კანონის გარდა, საკონსტიტუციო სამართალწარმოებას აწესრიგებს სპეციალური სამართლებრივი აქტი - საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“<sup>173</sup>, რომელიც არამხოლოდ ეფუძნება ხსენებულ ორგანულ კანონს, არამედ მის ნაწილობრივ დუბლირებასაც წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც ორგანული კანონით

---

<sup>169</sup> მაგ., Art. 88(1), Constitution of The Czech Republic, 16 December 1992, No. 1/1993 Sb.; Constitutional Court Act of The Czech Republic, 16 June 1993, 182/1993 Sb.; Art. 137, Constitution of the Italian republic, 27 December 1947; Constitution of Austria, 1920, Reinstated in: 1945; Constitutional Court Act of Austria 1953 – VfGG.

<sup>170</sup> მაგ., გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მოწყობა, უფლებამოსილებები და სამართალწარმოების წესები განისაზღვრება კონსტიტუციითა და 1951 წლის ფედერალური კანონით „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. იხ., მელქაქე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999, 154.

<sup>171</sup> საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.

<sup>172</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>173</sup> საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი №5-ბ, 24.04.1996, №159-ს.

ისედაც ხდება სამართალწარმოების გარკვეულ საკითხთა განსაზღვრაც.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა არჩევის პროცედურებს, ასევე, განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი<sup>174</sup>. რეგლამენტი ადგენს სასამართლოს წევრობის კანდიდატთა დასახელებისა და საარჩევნო პროცედურების სპეციალურ წესებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და სამართალწარმოების წესებს, ასევე, ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი<sup>175</sup>, რომელიც მიიღება სასამართლოს პლენუმის მიერ ღია კენჭისყრით<sup>176</sup>.

სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება - სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის მას შეუქმნას შესაბამისი სოციალური და სამუშაო პირობები<sup>177</sup>. საკანონმდებლო დონეზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, მათ სოციალურ გარანტიებსა და სამუშაო პირობებს. აღნიშნულ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“<sup>178</sup>. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით წესრიგდება სასამართლოს წევრის შრომის ანაზღაურების საკითხი, რომელიც მისი სტატუსისა და დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია.

---

<sup>174</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 216-ე მუხლი, 22.06.2012, №6533-ს.

<sup>175</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს; საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №5-6, 24.04.1996, №159-ს.

<sup>176</sup> იქვე, მე-3 პუნქტი.

<sup>177</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №28, 18.07.2007, №5207-რს.

<sup>178</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №28, 18.07.2007, №5207-რს.

### 3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ფუნქციები საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში

#### 3.1. „ნეგატიური კანონმდებელი“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციათაგან უმთავრესი მის მიერ საკონსტიტუციო ნორმატოკონტროლის განხორციელებაა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას<sup>179</sup>.

კანონის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად მიჩნევისას, სასამართლო აუქმებს მას, რითაც ახორციელებს „ნეგატიური კანონმდებლის“ ფუნქციას.<sup>180</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციაა, გამოასწოროს კანონმდებლის მიერ არაკონსტიტუციური კანონმდებლობის მიღებით შექმნილი მდგომარეობა<sup>181</sup>.

საქმის განხილვისას სასამართლო შეზღუდულია მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნით და არ შეუძლია გასცდეს ამ ფარგლებს,<sup>182</sup> რაც განპირობებულია სამართალწარმოებაში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების არსებობით<sup>183</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსა თუ თანამდებობის პირის ნორმატიული აქტი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძვლით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ

<sup>179</sup> საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>180</sup> Faber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 51.

<sup>181</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 61; იხ. ციტირება: შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 285.

<sup>182</sup> Faber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 51.

<sup>183</sup> საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი მე-3 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.; „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №5-6, 24.04.1996, №159-ს.

საქართველოს შემთხვევაში მას თვითინიციატივით არ შეუძლია საქმის განხილვის წამოწყება.

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო არ იღებს ნორმებს, მაგრამ არაკონსტიტუციური ნორმების გაუქმებით (ნეგატიური კანონმდებლის ფუნქცია), კანონმდებელს ეხმარება სწორი საკანონმდებლო ნების ჩამოყალიბებაში<sup>184</sup>, ხელს უწყობს კანონმდებლობის სრულყოფასა და დახვეწას<sup>185</sup>. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქვეყნის სასამართლოს იმისი უფლებაც აქვს, გამოავლინოს ნორმის არარსებობის კონსტიტუციურობა და პარლამენტს მიუთითოს მისი აღმოფხვრის თაობაზე<sup>186</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის გაუქმება მოითხოვს პარლამენტის მხრიდან შესაბამის რეაგირებას, რაც გამოუწვეულია გაუქმებული ნორმის საფუძველზე შექმნილი მთელი რიგი ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანით.<sup>187</sup> ზოიძის აზრით, „სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად აცხადებს პოზიტიური სამართლის ნორმას საერთოდ, იმის მიუხედავად, რამდენ ნორმატიულ აქტშია იგი გამოხატული“<sup>188</sup>. აქტის გაუქმების თანმდევი შედეგების დადგომა და პრაქტიკული იმპლემენტაცია დამოკიდებულია სახელმწიფოში სამართლებრივი კულტურის დონეზე - რამდენად ითვალისწინებს მსგავს შემთხვევებში კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციას.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გაუქმება იწვევს მის საფუძველზე გა-

<sup>184</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა ნე-სრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 61.

<sup>185</sup> კვერენჩილაძე გ, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006, 41.

<sup>186</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 144.

<sup>187</sup> Клишас А. А., Конституционная Юстиция в Зарубежных Странах, Москва, 2004, 61.

<sup>188</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004, 65.

მოტიანილი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერებას და არა მათ გაუქმებას.<sup>189</sup>

### 3.2. „პოზიტიური კანონმდებელი“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 20 სექტემბრის განჩინებაში აღნიშნა, რომ ახალი ნორმის შემუშავება შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილებაა და იგი არ წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯად საკითხს.<sup>190</sup> მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ამგვარი უფლებამოსილება კანონმდებლობით, თუმცა უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად იგი გაცილებით მეტს საქმიანობს, ვიდრე მისი უბრალოდ ნეგატიური კანონმდებლის ფუნქცია განაპირობებს. საუკუნეების განმავლობაში არამხოლოდ საერთო, არამედ კონტინენტური სამართლის სახელმწიფოთა მოსამართლეები აქტიურად დაკავდნენ სამართალშემოქმედებითი საქმიანობით.<sup>191</sup> შაიო აღნიშნავს, „თანამედროვე საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია კელზენისეული ნეგატიური კანონმდებლის როლს გასცდა, რადგან ისინი არამხოლოდ აუქმებენ ანტიკონსტიტუციურ კანონებს, არამედ მზა გადაწყვეტილებებსაც იძლევიან, რაც შეიძლება კონსტიტუციის გადასინჯვამდეც მივიდეს“<sup>192</sup>. საკონსტიტუციო სასამართლო კელზენისეული „ნეგატიური კანონმდებელია“, თუმცა მის მიერ კონსტიტუციის განმარტების დადგენა უახლოვდება „პოზიტიური კანონმდებლის“ ფუნქციასაც<sup>193</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლო, ზოგადი წესის თანახმად, დაკავებულია სამართალშემოქმედებით - განსაზღვრავს კა-

---

<sup>189</sup> საქართველოში მოქმედებს ე.წ. *ex nunc* საკონსტიტუციო კონტროლი. იხ., საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი მე-20 მუხლი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>190</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 63, იხ. ციტირება: ყურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2002, 93.

<sup>191</sup> კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, 121.

<sup>192</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 292.

<sup>193</sup> Dürr S. R., Comparative Overview of European Systems of Constitutional justice, International Constitutional Law Journal, Vol. 5, No. 2, 2011, 171.

ნონმდებლობის განიხილავს, შესაბამისი აქტების კონსტიტუციურობა განიხილვის პრეცედენტებითა და კონსტიტუციაში ხარვეზებისა და „ხვრელების“ ამოვსების გზით.<sup>194</sup> მაგ., გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა ისე განარტა ფედერალური კანონი, რომ მეორე სენატს (კოლეგიას) უფლებამოსილებები გაუფართოვა და განუსაზღვრა დამატებით განსჯადობა საქმეებზე<sup>195</sup>.

კანონმდებელი შებოჭილია კონსტიტუციით, ივარაუდება, რომ იგი შებოჭილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებითაც,<sup>196</sup> რომლებიც არ საჭიროებს რაიმე დამატებით რეგლამენტაციას (თანხმობას) პარლამენტის მხრიდან.<sup>197</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ზოგჯერ შესაძლებელია გარკვეულ ვადას აძლევდეს პარლამენტს, რათა მან თავად შეცვალოს კანონი და მოიყვანოს იგი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში<sup>198</sup>.

„სამართალი გაცილებით მეტია, ვიდრე პარლამენტის მიერ მიღებული კანონები.“<sup>199</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ავითარებს და ქმნის კონსტიტუციურსამართლებრივ დოქტრინას, თამაშობს მნიშვნელოვან როლს ხელისუფლებათა დანაწილებაში, შეკავებისა და განონასწორების სისტემაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე. იგი სამართალშემოქმედი ორგანოა და მისი გადაწყვეტილებები აკმაყოფილებენ ნორმატიული აქტებისათვის განსაზღვრულ ყველა ელემენტს<sup>200</sup>.

---

<sup>194</sup> Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 82.

<sup>195</sup> იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 1993 წლის 15 ნოემბრის განჩინება ნაშრომში - ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 112.

<sup>196</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 63.

<sup>197</sup> Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 27.

<sup>198</sup> Handbook of Polish Law, Edited by Dajczak W., Szwarc A.J., Wilinski P., Adam Mickiewicz University, Poznan, 2011, 152.

<sup>199</sup> ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, უსრნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006, 43.

<sup>200</sup> Зорькин В., Прецедентный Характер Решений Конституционного Суда Российской Федерации, Конституционное Правосудие, №3(33), 2006, 8.

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეიმუშავოს რეკომენდაციები და წინადადებები კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, რაც თავისთავად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართალშემოქმედებით პროცესზე.<sup>201</sup> იგი ხშირად ცდილობს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის გაუქმების შედეგად გამოწვეული საკანონმდებლო სიცარიელებები დროებითი მონესრიგებით აღმოფხვრას, რაც მეცნიერთა ნაწილის გაღიზიანებას იწვევს.<sup>202</sup> საკონსტიტუციო სასამართლო საკანონმდებლო აქტების გაუქმებით ასწორებს ხარვეზებს<sup>203</sup>, თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ შეცდომების გამოსწორების იმედით არ უნდა ხდებოდეს ნორმატიული აქტების არასრულყოფილად შექმნა, რადგან ეს სხვა არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობის თავიდაც აცილება<sup>204</sup>. ყველას უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლის თანამნარმოებელი კი არ არის, არამედ მისი კონტროლიორია“<sup>205</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ეფუძნება, ქმნის, აღასრულებს და იცავს სამართალს. იგი სახელმწიფოში კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის უმთავრესი გარანტია.<sup>206</sup> მართალია, სასამართლო კანონს ფორმალური გაგებით არ იღებს, თუმცა მნიშვნელოვნად მონაწილეობს სამართალშემოქმედებით საქმიანობაში და თავისი გადაწყვეტილებებით ქმნის მტკიცე სამართლებრივ ნორმებს მატერიალური გაგებით.<sup>207</sup>

---

<sup>201</sup> Василевич Г., Решения Конституционного Суда Как Источник Права и Их Соотношение с Актами Иных Судебных Органов, Конституционное Правосудие, №2(28), 2005, 57.

<sup>202</sup> კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, 121.

<sup>203</sup> Faber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 51.

<sup>204</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 60.

<sup>205</sup> იქვე, 59; იხ. ციტირება: Undesverfassungsgerichtgesetz, Kommentar, Band 2, Begründet von Dr. Theodor Maunz, Verlag C.H.Beck, München (RozeK), 2005, S.8.

<sup>206</sup> Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 82.

<sup>207</sup> ამის გამო კი უკვე კონტინენტური სამართლის იურისტებს შორის უფრო და უფრო ფხვს იკიდებს აზრი, რომ დადგა დრო მოსამართლეთა ნორმატიული უფლებამოსილება, რაც მათ პრაქტიკაში, ფაქტობრივად, გააჩნიათ, საკანონმდებლო დონეზეც

### 3.3. კონსტიტუციის განმარტება

კონსტიტუციის ინტერპრეტაციის წყალობით, კონსტიტუცია „ცოცხლობს“ და დროის გასვლის მიუხედავად, ახერხებს ახალ გარემოებებთან ადაპტირებას.<sup>208</sup> კონსტიტუციის ინტერპრეტაციის უფლებამოსილება შესაძლებელია რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს ჰქონდეს, თუმცა გარკვეულ ფარგლებში და არა განუსაზღვრელად.<sup>209</sup> აშშ-ის კონგრესს გააჩნია კონსტიტუციის განმარტების ინსტიტუციური უფლებამოსილება, რაც საფუძველს უწყევს უმაღლესი სასამართლოს მიერ კონსტიტუციის განმარტების „უზენაესობას“ ინტერპრეტაციის საკითხებში<sup>210</sup>, თუმცა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები, მათი ფორმის მიუხედავად, მაინც საკანონმდებლო ორგანოებზე მაღლა დგანან, ხშირ შემთხვევაში კი სწორედ მათ მიერ მოცემული ნორმის განმარტება იქცევა კონსტიტუციური ნორმის შინაარსად<sup>211</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება განსახილველი საქმის მიღმა განმარტოს კონსტიტუციის ნორმა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაცია ზოგადსავალდებულო ხასიათს ატარებს და ერთადერთ, ნამდვილ ინტერპრეტაციას წარმოადგენს<sup>212</sup>. კელზენისეულ მოდელში საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის ავთენტური ინტერპრეტაციის შემმუშავებელი ერთადერთი უფლებამოსილი ორგანოა, რომელიც აღ-

---

განმტკიცდეს. იხ., კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, 127.

<sup>208</sup> ბლანკენაგელი ალ., გაული ვ., კონსტიტუციური მომენტები და საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ყოველდღიური ცხოვრება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 254.

<sup>209</sup> Gerhardt M. J., *Judging Congress*, Boston University Law Review, Vol. 89-525, 2009, 526.

<sup>210</sup> იქვე, 527.

<sup>211</sup> მელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1996, 49.

<sup>212</sup> Rupp H. G., *Judicial Review in the Federal Republic of Germany*, The American Journal of Comparative Law, Vol. 9, No. 1, 30.

ჭურვილია მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციით<sup>213</sup>.

ხშირად ჩნდება შთაბეჭდილება, რომ მოსამართლეთა მიერ კონსტიტუციის განმატება ფაქტობრივად კონსტიტუციის „გადაწერა“, თუმცა სამოსამართლო სამართალი კონსტიტუციის განამრტების სფეროში ვერასდროს ჩაანაცვლებს კონსტიტუციის ნორმას, რადგან ეს თავად კონსტიტუციის არსს (სულისკვეთებას) ეწინააღმდეგება.<sup>214</sup> მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის სამართლებრივ ინტერპრეტაციას ახდენს, მის მიერ კონსტიტუციური ნორმის განმარტება გაცილებით უფრო ახლოსაა პოლიტიკასთან, ვიდრე ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტის ინტერპრეტაცია.<sup>215</sup> რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაციის უფლებამოსილება გააჩნია, მის მიერ შემუშავებული განმარტება ნორმის ერთადერთი ოფიციალური გაგებაა და მისი შესრულება ყველასთვის სავალდებულოა.<sup>216</sup> ეს ხშირ შემთხვევებში პრობლემურს ხდის მისი საქმიანობის განხორციელებას. იგი სულ უფრო ნაკლებად ჰგავს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს, რომლის სტატუსსაც მას რფ-ის კონსტიტუცია ანიჭებს<sup>217</sup>.

ზოგიერთ შემთხვევაში აქტის კონსტიტუციურობა იმით განისაზღვრება, თუ როგორი განმარტება იქნება გამოყენე-

---

<sup>213</sup> Papuashvili G., Problematic Aspects of Interrelationship between the Constitutional and Ordinary Courts, 1<sup>st</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Cape Town, 23–24 January 2009, 1.

<sup>214</sup> Ntaba Z.J.V., Constitutional Interpretation: Judicial Activism or Restraint, *European Journal of Law Reform*, Vol. X, no. 2, 2008, 258.

<sup>215</sup> Arnaiz A. S., Constitutional Jurisdiction in Europe: Between Law and Politics, *Maastricht Journal*, Vol. 111, 1999, 118; იხ. ციტირება: Wroblewski, An outline of a General Theory of Legal Interpretation and Constitutional Interpretation, in J. Igartua (ed.), *La interpretation de a Constitution*, (III Cursos de Verano en San Sebastian, 1958), 109.

<sup>216</sup> Баглай М. В., *Конституционное Право Российской Федерации*, Москва, 2007, 675.

<sup>217</sup> გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, *ეურნ. „აღმნიანი და კონსტიტუცია“*, №1, 1998, 28; იხ. ციტირება: Пашин С., *Конституционный Суд в “Новой Редакции”*, *Жур. “Конституционное Право Восточноевропейское Обозрение”*, №2(7), 1994, 27.

ბული მისი გამოყენების დროს.<sup>218</sup> სასამართლო ეხმარება კანონმდებელს<sup>219</sup> და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს არამართო კონსტიტუციის, არამედ სხვა სამართლებრივი აქტების სწორად გაგებაში.

მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ცალკე არ განმარტავს კონსტიტუციის ნორმებს, თუმცა თავის გადანყვეტილებებში იგი ფართოდ გამოიყენებს ინტერპრეტაციის საშუალებებს და განსახილველი საქმიდან გამომდინარე, ახდენს კონსტიტუციის ინტერპრეტაციას. ამის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის განმარტება შეიძლება მოახდინოს კონკრეტული საქმის განხილვის პარალელურად და აღნიშნული სრულებით არ იქნება მის მიერ უფლებამოსილების გადამეტება<sup>220</sup>.

### **თავი III. საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელების ძირითადი სირთულეები საქართველოში**

#### **1. უფლებამოსილებები**

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ძირითად ნაწილს კონსტიტუცია განსაზღვრავს, შესაძლებელია მათი ნაწილი სპეციალური კანონმდებლობით იყოს განსაზღვრული, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ თავად სასამართლოს სტაბილურობისა და დამოუკიდებლობისათვის უმჯობესი იქნება, თუკი უფლებამოსილებათა სრული ჩამო-

---

<sup>218</sup> Dürr S. R., Comparative Overview of European Systems of Constitutional justice, International Constitutional Law Journal, Vol. 5, No. 2, 2011, 172.

<sup>219</sup> კვერენჩხილაძე გ, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006, 41.

<sup>220</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 64.

ნათვალ კონსტიტუციური ნორმის სახით იქნება მოცემული<sup>221</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი უფლებამოსილებები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში, რამდენიმე უფლებამოსილება კი, რომელიც პრეზიდენტისა და სხვა უმაღლეს თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის<sup>222</sup>, პარლამენტის წევრის სტატუსის შეწყვეტისა<sup>223</sup> და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს<sup>224</sup> ეხება, მოცემულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლში.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსგან განსხვავებით<sup>225</sup>, რომელსაც ნებისმიერი საჯარო აქტის (მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილებების) კონსტიტუციურობის შემოწმება შეუძლია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული აქტების განსაზღვრული

---

<sup>221</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 113; იხ. ციტირება: Сравнительное Конституционное Право, Отв. Ред. В.Е. Чиркин, Москва, 2002, 107.

<sup>222</sup> უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, საკონსტიტუციო სასამართლო ერთადერთი უფლებამოსილი ორგანოა, რომელსაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხთან დაკავშირებით, შეუძლია გასცეს დასკვნა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ან კონსტიტუციის დარღვევის არსებობის თაობაზე. იხ., საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი; მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.

<sup>223</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>224</sup> იქვე, „კ“ ქვეპუნქტი.

<sup>225</sup> ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საჯარო ხელისუფლების (ცნება მოიაზრებს ხელისუფლების სამივე შტოს) მიერ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევები; იხ., პაპიერი ჰ.ი., ინდივიდუალური სარჩელი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, მ. მაიხგალაძის თარგმანი, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 2003, 18.

სახეების კონსტიტუციასთან შესაბამისობას განიხილავს<sup>226</sup>. იგი არ არის აღჭურვილი „რეალური“ კონტროლის უფლებამოსილებით.<sup>227</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ერთადერთი ორგანოა პარლამენტის შემდეგ, რომელსაც შეუძლია კანონის გაუქმება<sup>228</sup>.

საკონსტიტუციო კონტროლის უმთავრესი მიზანი ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და განონასწორების პრინციპის არსებობის უზრუნველყოფაა.<sup>229</sup> ამ კუთხით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია განახორციელოს როგორც აბსტრაქტული ნორმატიკონტროლი<sup>230</sup>, ისე განიხილოს სახელმწიფო ორგანოებს შორის დავები კომპეტენციის თაობაზე<sup>231</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურობის, კანონიერებისა და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების მთავარი დამცველია შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში.<sup>232</sup> „საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ეროვნული სასამართლო ორგანო ახორციელებს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საკონსტიტუციო სამართალწარმოების საშუალებით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების, საერთაშორისო სასამართლე-

---

<sup>226</sup> Papuashvili G., Problematic Aspects of Interrelationship between the Constitutional and Ordinary Courts, 1<sup>st</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Cape Town, 23–24 January 2009, 5.

<sup>227</sup> „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ [ECHR], ევროსასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის განჩინება, განაცხადი №40765/02, პ. 40,43.

<sup>228</sup> ზოგადი წესის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ნორმა როგორც თავად ნორმის მიღების მომენტიდან, ისე გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ან გამოქვეყნებიდან. იხ., Dürr S. R., Comparative Overview of European Systems of Constitutional Justice, International Constitutional Law Journal, Vol. 5, No. 2, 2011, 172.

<sup>229</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005, 17.

<sup>230</sup> კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს. იხ., კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 116-131.

<sup>231</sup> იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>232</sup> Karakamisheva-Jovanovska T., Different Models for Protection of Constitutionality, Legality and Independence of Constitutional Court of the Republic of Macedonia, 2<sup>nd</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Rio de Janeiro, 16-17 January 2011, 1.

ბრივი ნორმებისა და ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად.<sup>233</sup> ადამიანის უფლებების დაცვა სძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას საკონსტიტუციო სასამართლოს და განაპირობებს მის ადგილს სამართლებრივ სისტემაში<sup>234</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პირის სარჩელის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებით განიხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს<sup>235</sup>, თუმცა მას არ შეუძლია სახელმწიფო ორგანოთა ქმედებების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით იმსჯელოს. ეს უკანასკნელი ხშირად ხდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური დებატებისა და სახელმწიფოში დესტაბილიზაციის მიზეზი<sup>236</sup>. საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილებით მნიშვნელოვნად გააფართოვა მოსარჩელე სუბიექტთა წრე და ნებისმიერ პირს მისცა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება (რა თქმა უნდა, შესაბამისი წინაპირობებისა და პროცედურების დაცვით)<sup>237</sup>.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მიმდინარეობისას იყო მსჯელობა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ე.წ. „რეალური კონტროლის“ უფლებამოსილება მიენიჭებინათ, როგორც ეს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასა-

---

<sup>233</sup> Зорькин В., Конституционные Суды Стран Молодой Демократии к Европейскому Правовому Полю, Конституционное Правосудие, №2(28), 2005, 12.

<sup>234</sup> Pakalnytė K., The Lithuanian Constitutional Court: Its Nature, Structure, and Position in the Lithuanian Legal Order, International Journal of Baltic Law, Vol. 2, No. 1, 2005, 27.

<sup>235</sup> კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.

<sup>236</sup> XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნდა არა მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენის, არამედ სახელმწიფო ორგანოების ქმედებათა კონსტიტუციასთან შესაბამისობის განსაზღვრის ფუნქცია, რის გამოც იგი ხშირად პოლიტიკური თამაშების მონაწილე ხდებოდა, ამაზე კი სერიოზული ზიანი მოუტანა თავად სასამართლოს. იხ., Баглай М. В., Конституционное Право Российской Федерации, Москва, 2007, 667; Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 12, 1997, 33.

<sup>237</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მართლოს გააჩნია,<sup>238</sup> თუმცა აღნიშნული ცვლილება არ განხორციელდა.

საქართველოს კონსტიტუციაში 2005 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები<sup>239</sup> შეეხო საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებსაც, კერძოდ, თუკი სასამართლოს ადრე შეეძლო არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავების განხილვა, საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, აღნიშნული უფლებამოსილება მნიშვნელოვნად შეიზღუდა. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს მათი საკანონმდებლო საფუძვლების (ნორმების) კონსტიტუციურობის ჭრილში და არა დამოუკიდებლად.

ნორმის მსგავსი ფორმულირება მნიშვნელოვნად ზღუდავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას ამ კუთხით და თითქმის ფორმალურს ხდის მას, რადგან ძალზედ იშვიათია შემთხვევა, როდესაც საარჩევნო ნორმის არაკონსტიტუციურობამ მთლიანად არჩევნების არაკონსტიტუციურად გამოცხადება გამოიწვიოს. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლოს არჩევნები გამოუცხადებია არაკონსტიტუციურად ისე, რომ არ დამდგარა თავად არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი<sup>240</sup>.

საარჩევნო ნორმები, რომელთა საფუძველზეც ტარდება არჩევნები და რეფერენდუმი ერთიანი საკანონმდებლო სივრცის ნაწილია, ისინი ნორმატიულ აქტშია მოცემული. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ კონკრეტული უფ-

---

<sup>238</sup> The Guarantees of the Independence of the Constitutional Court, 2<sup>nd</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Rio de Janeiro, 16–18 January 2011, 3.

<sup>239</sup> 2005 წლის 29 დეკემბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, №2496—რს.

<sup>240</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება №6/134-139-140 საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა“, №1, 2010, 59.

ლებამოსილების გარეშეც შეუძლია იმსჯელოს საარჩევნო ნორმების კონსტიტუციის მე-2 თავთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით<sup>241</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ფორმულირებით მოხდა დაინტერესებულ პირთა უფლებების შეზღუდვა (შესაძლოა პირი საეჭვოს არ ხდიდეს ნორმის კონსტიტუციურობას, თუმცა მოითხოვდეს თავად ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის დადგენას.<sup>242</sup>), ვინაიდან, ფაქტობრივად, მოისპო არჩევნებისა თუ რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით ცალკე, დამოუკიდებელი დავის განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობა.

არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხი უაღრესად პოლიტიკურია, თუმცა იგი სასიცოცხლო სახელმწიფოში დემოკრატიული საარჩევნო გარემოს, ადამიანის უფლებების რეალიზაციისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისათვის. ბევრ საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია<sup>243</sup> მსგავსი დავების განხილვა უფლებამოსილება<sup>244</sup> და ისინი მას დამატებითი ნორმატივების გარეშე ახორციელებენ.

შეიძლება ითქვას, რომ არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა თანამედროვე საკონსტიტუციო სასამართლოებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი კომპეტენციაა. შესაბამისად, გაუმართლებელია, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მსგავსი შეზღუდვით იბოჭება, ამით ხელი ეშლება მასზე დაკისრებული სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებას.

## 2. საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა

---

<sup>241</sup> ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა“, №1, 2010, 60.

<sup>242</sup> იქვე, 58.

<sup>243</sup> Art. 100 (3);(3.1) Constitution of the Republic of Armenia; Art. 87 (1.e), Constitution of the Czech Republic; Art. 223 (2.f.h.) Constitution of Portuguese Republic.

<sup>244</sup> მაგ., საკონსტიტუციო საბჭო ახორციელებს კონტროლს როგორც სახელმწიფოებრივი მასშტაბის არჩევნებზე, ისე - რეფერენდუმზე. იხ., კვერნჩხილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 66.

ახალი დემოკრატიის სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლოს გამორჩეული ადგილი უკავია და განსაკუთრებული ავტორიტეტი გააჩნია, მეტ-ნაკლებად ობიექტური, მიუკერძოებელი სტატუსით სარგებლობს და მისგან ყოველთვის შესაბამისი პოზიციის გამოვლინებას მოელიან.<sup>245</sup> სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარეშე, წარმოუდგენელია საკონსტიტუციო სასამართლომ რაიმე ავტორიტეტი მოიპოვოს საზოგადოებაში<sup>246</sup>.

ლაიბჰოლცის იდეებზე დაყრდნობით, გფრ-ის საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა სასამართლოს დამოუკიდებლობის 4 პირობა, პრინციპი: დამოუკიდებელი ბიუჯეტი; საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უნდა იყოს გათანაბრებული უმაღლესი თანამდებობის პირებთან; სასამართლოს თავად უნდა შეეძლოს საკუთარი თანამდებობის პირების, ადმინისტრაციული, აკადემიური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დამხმარე პერსონალის დანიშვნა; სასამართლოს უნდა შეეძლოს სხვა კონსტიტუციურ ორგანოებთან ურთიერთობების დამყარება, საქმიანობის წარმართვა უშუალოდ, სხვა გარეშე პირების შუამავლობის გარეშე.<sup>247</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოსა და მისი წევრების საქმიანობა უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი, იზოლირებული ხელისუფლების შტოთაგან, არცერთ სახელმწიფო ორგანოსა თუ თანამდებობის პირს არ უნდა შეეძლოს რაიმე სახის ზემოქმედება მოახდინოს მასზე.<sup>248</sup> გფრ-ში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსი გათანაბრებული ფედერალური მინისტრის სტატუსთან და სარგებლობს ყველა

---

<sup>245</sup> Мишин В., Конституционный Суд – Востребованный Временем Правовой Институт, Конституционное Правосудие, №2(28), 2005, 9.

<sup>246</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 87.

<sup>247</sup> Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Translated by Ignaski J., Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, 1984, 96. იხ. ციტირება: *Denkschrift des Bundesverfassungsgerichts*, 1957 Jahrbuch Des Öffentlichen Rechts 144 (Das öffentliche Recht der Gegenwart).

<sup>248</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 88-89.

შელავათითა და უპირატესობით.<sup>249</sup> სასამართლოს წევრები საქართველოში სარგებლობენ მაღალი სოციალური დაცვის გარანტიებით, რაც საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონმდებლობითაა განსაზღვრული<sup>250</sup>. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის იმუნიტეტი გაცილებით აღემატება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის და ნებისმიერი სხვა თანამდებობის პირის იმუნიტეტს<sup>251</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ეკრძალება ნებისმიერი სხვა თანამდებობის დაკავება, ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელება, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა, ამასთან, იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი<sup>252</sup>. ეს ტიპური შეზღუდვებია, რომლებიც სასამართლოს წევრის მიმართ მოქმედებს, ძირითადი განსხვავება წვრილმანებშია - ზოგიერთი სახელმწიფო დაუშვებლად მიიჩნევს სასამართლოს წევრის მიერ ნებისმიერი სხვა საქმიანობის (მათ შორის, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის) განხორციელებას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ყოფნის პერიოდში<sup>253</sup>, ასევე, პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებით ყველა სახელმწიფოში ერთგვაროვანი მიდგომა არ მოქმედებს<sup>254</sup>.

<sup>249</sup> სუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მარტლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 17.

<sup>250</sup> საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები, 88-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს; საქართველოს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №28, 18.07.2007, №5207-რს.

<sup>251</sup> The Guarantees of the Independence of the Constitutional Court, 2<sup>nd</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Rio de Janeiro, 16–18 January 2011, 6.

<sup>252</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>253</sup> ბეუიტაშვილი ო., საკონსტიტუციო კონტროლი იტალიაში, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 71.

<sup>254</sup> მაგ., გფრ-ში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს არ ეკრძალება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, თუმცა ამით არ უნდა ილახებოდეს საზოგადოების რწმენა მის დამოუკიდებლობაში. იხ., მელქაძე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999, 166.

ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისას საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედებს როგორც პოლიტიკური ორგანო, რათა უზრუნველყოს სამართლებრივი და სოციალური წეს-წყობილების სტაბილურობა.<sup>255</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ნებისმიერ შემთხვევაში უწევს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინება, თუმცა ეს უნდა იყოს მისი სამართლებრივი პოზიციის თანმხლები და არა განმაპირობებელი ფაქტორი.

სრულიად მისაღებია ხეცურიანის მოსაზრება, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო ყველაზე მეტად არის დაცული სახელისუფლებო და პარტიული გავლენისაგან, მას აქვს დამოუკიდებლობის დიდი ხარისხი და მიუყვარძობელი გადაწყვეტილებების მიღების მომეტებული შესაძლებლობა“<sup>256</sup>. საკანონმდებლო დონეზე სასამართლოს დამოუკიდებლობის საკმაოდ მყარი გარანტიებია მოცემული. საქართველოს შემთხვევაში უფრო მენტალურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ფორმალურ-სამართლებრივთან. საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსამართლის ფსიქიკა და მისი დამოკიდებულება განსახორციელებელი უფლებამოსილების მიმართ.<sup>257</sup> მთავარია, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და გააჩნდეს სრული თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის განცდა. საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსის დაკნინებას ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ზემოქმედებასთან ერთად, თავად სასამართლოს წევრთა დამოკიდებულებაც არ უნდა უწყობდეს ხელს<sup>258</sup>.

მოსამართლის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: თანამდებობაზე ხელმეორედ გამწესება, უფლებამოსილების ვადა, თავმჯდო-

---

<sup>255</sup> Kulić D., *The Constitutional Court of Yugoslavia in the Protection of Basic Human Rights*, *Osgood Hall Law Journal*, Vol. 11, No. 2, 1972, 276.

<sup>256</sup> ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხზე, *ჟურნ. „საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა“*, №1, 2010, 60.

<sup>257</sup> დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თ. ნინიძისა და ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 108.

<sup>258</sup> ზოიძე ო., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, ტენდენციები და პერსპექტივები, *ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“*, №4, 2000, 241.

მარედ არჩევა, დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სოციალური და საპენსიო გარანტიები, ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხები და სხვ.<sup>259</sup> უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივება, ხელმეორედ დანიშვნის შესაძლებლობა ხელისუფლების შტოებს სასამართლოს წევრზე ზემოქმედების გზას უხსნის<sup>260</sup>.

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად პირის მეორეჯერ გამწესებას.<sup>261</sup> მსგავსი მოწესრიგება ვრცელდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეზეც, თუმცა 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების<sup>262</sup> შედეგად, მეორეჯერ არჩევის შეზღუდვა გაუქმდა. სრულიად გაუმართლებელია მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით. იგი მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს და ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო ინსტიტუტის ხელმძღვანელია, რომელსაც არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში. ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობით თავისუფლად შეიძლება მასზე გავლენის მოხდენა, მანიპულირება, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აქცევს არამართო სასამართლოს დამოუკიდებლობას, არამედ მისი შემდგომი გადაწყვეტილებების ავტორიტეტსა და საზოგადოებრივ აღქმას. საუბარი არაა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე, ის შეიძლება თუნდაც 10 წლიანი იყოს ან პირიქით მცირე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობიდან როტაცია ხდებოდეს. მთავარი პრობლემა სწორედ განმეორებადობის შესაძლებლობაშია.

აღსანიშნავია, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის წესი. მართალია, თავმჯდომარეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ირ-

---

<sup>259</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 89.

<sup>260</sup> The Guarantees of the Independence of the Constitutional Court, 2<sup>nd</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Rio de Janeiro, 16–18 January 2011, 5.

<sup>261</sup> საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.

<sup>262</sup> 2010 წლის 15 ოქტომბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, №3710-ს.

ჩვეს, თუმცა მისი კანდიდატურის დასახელება პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით ხდება<sup>263</sup>. რა თქმა უნდა, მსგავსი მექანიზმით, პარლამენტისა და სახელმწიფოს მეთაურის მონაწილეობით ხდება სხვა სახელმწიფოებშიც თავმჯდომარის არჩევა, თუმცა ისეთი ახალი დემოკრატიის ტიპის ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რაც ნაკლები შეხება ექნება პოლიტიკას საკონსტიტუციო სასამართლოსთან, მით უკეთესია. ამგვარი წესი თავმჯდომარის არჩევას სასამართლოს მიღმა, პოლიტიკურ ფიგურებს უკავშირებს. ეს კიდევ უფრო მალლა წევს პოლიტიკური ინტრიგებისა და სასამართლოს ავტორიტეტის დაკნინების ალბათობას. აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი შემადგენლობიდან, ნევრთა წარდგინებით ირჩევდეს თავმჯდომარეს და ამით ახდენდეს დამატებით დისტანცირებას ნებისმიერი პოლიტიკური ხელისუფალისა თუ კერძო, პარტიული ინტერესებისგან.

### 3. სამართალწარმოების ვადები

საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკანონმდებლო დეფინიცია ქართულ სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს, თუმცა კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია მისი განსაზღვრა. საკონსტიტუციო სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესს ეწოდება, კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციიდან მის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტამდე.

ზოგადად, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების წესი და პროცესი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ორგანო ახორციელებს მას: საკონსტიტუციო სასამართლოებში საქმისწარმოება სამოქალაქო პროცესს ჰგავს, თუმცა იგი სრულიად დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ბუნებისაა<sup>264</sup>. სამართალწარმოების ვადები განაპირობებს სასამართლოს ნევრთა

<sup>263</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>264</sup> მელქაძე ო., დვალი ბ., საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 59.

და მხარეთა მხრიდან მხოლოდ არსებით გარემოებებზე ყურადღების გამახვილებას<sup>265</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების საფუძველს სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანა წარმოადგენს<sup>266</sup>. საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელისა და წარდგინების განსახილველად მიღების საკითხს წყვეტს განმწესრიგებელ სხდომაზე<sup>267</sup>. რაც შეეხება განმწესრიგებელ სხდომას, მისი ჩატარების თარიღს ნიშნავს პლენუმის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიის შემთხვევაში - კოლეგიის თავმჯდომარე<sup>268</sup>.

სამართალწარმოების ხანგრძლივი ვადები ხშირად პრობლემებს წარმოშობს პრაქტიკაში და იწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას<sup>269</sup>. თუმცა გაცილებით დიდი პრობლემაა, როდესაც კონკრეტული სამართლებრივი ქმედების განხორციელებისთვის საერთოდ არ არის დადგენილი რაიმე სახის ვადა. საქმის არსებითი განხილვა დაიწყება თუ არა, ამის თაობაზე გადაწყვეტილება განმწესრიგებელ სხდომაზე მიიღება<sup>270</sup>, თუმცა არ არსებობს კონკრეტული ვადა, რომელშიც სასამართლოს ან კოლეგიის თავმჯდომარემ უნდა დანიშნოს განმწესრიგებელი სხდომა. ზოგადი წესის თანახმად, სასამართლოში საქმის განხილვა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს<sup>271</sup>. ჰიპოთეტურად შესაძლებელია განმწესრიგებელი სხდომა დაინიშნოს სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციიდან 8 თვის შემდეგ და სასამართლომ დაუშვებლად ცნოს კონს-

<sup>265</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 88.

<sup>266</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს; „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №5-6, 24.04.1996, №159-ს. იქვე, 1-ლი პუნქტი.

<sup>268</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>269</sup> ხმალაძე ვ., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 211.

<sup>270</sup> „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №5-6, 24.04.1996, №159-ს.

<sup>271</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

ტიტუციური სარჩელი/წარდგინება. ამ შემთხვევაში სახეზეა არაეფექტური მართლმსაჯულების პრობლემა, რადგანაც მსგავსი გაჭიანურება ხელს უშლის საქმეთა სწრაფ, ეფექტურ და კვალიფიციურ განხილვას. ამასთან, მსგავსი მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკაში ჩართვის ალბათობას ზრდის, კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების მომავალი განვითარების არცოდნა შესაძლებელია პოლიტიკური მანიპულირების საგნად იქცეს.

კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების განხილვა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს<sup>272</sup>, თუმცა კონკრეტული დავების განხილვისათვის დადგენილია საგამონაკლისო ვადები<sup>273</sup>. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხილვის ვადის 2 თვით გაგრძელება<sup>274</sup>. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებებით<sup>275</sup> დადგინდა ხსენებული ვადები. ცვლილებებამდელი მოწესრიგებით კი, განხილვის მაქსიმალური ვადა 6 თვეს შეადგენდა, საქმის განხილვის გაგრძელების შესაძლებლობა, მართალია, სასამართლოს თავმჯდომარეს გააჩნდა, თუმცა არ იყო დაზუსტებული, რა ვადით შეიძლებოდა მისი გახანგრძლივება. ერთი მხრივ, ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან დამატებითი განხილვის ვადა კონკრეტულად განისაზღვრა, თუმცა, მეორე მხრივ, საქმის არსებითი განხილვა გახანგრძლივდა: 6 თვის ნაცვლად გახდა 9 თვე.

მნიშვნელოვანი პრობლემაა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის დანესებული ვადა, რომელიც, უბრალოდ, არ არსებობს. საქმის არსებითი განხილვის დასრულების შემდეგ სასამართლო ვადის სათათბირო ოთახში<sup>276</sup>, თუმცა არსადაა განსაზღვრული როდის უნდა გამოცხადდეს გადაწყვეტილება. სასამართლო ხშირად მნიშვნელოვნად აჭიანურებს გადაწყვეტილების გამოცხადების

<sup>272</sup> იქვე.

<sup>273</sup> იქვე, მე-2-მე-4 პუნქტები.

<sup>274</sup> იქვე, პირველი პუნქტი.

<sup>275</sup> იხ., 2006 წლის 29 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე“, №4215-რს.

<sup>276</sup> „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი №5-6, 24.04.1996, №159-ს.

პროცესს, რომელიც რიგ შემთხვევებში 2 წლამდეც კი აღ-  
ნევის<sup>277</sup>.

სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად არ  
იცავს სამართალწარმოების ვადებს. სხვადასხვა მოტივით იგი  
მიზანმიმართულადაც აჭიანურებს საქმის განხილვას<sup>278</sup>. ხში-  
რად სასამართლოს მიერ საქმის განხილვა მნიშვნელოვნად  
სცდება საკანონმდებლო დონეზე დადგენილ ვადებს. საკონს-  
ტიტუციო სასამართლომ საქმეებზე, „საქართველოს ახალ-  
გაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე  
თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,  
განმწესრიგებელი სხდომა სარჩელის რეგისტრაციიდან ერთ  
წელზე მეტი ხნის შემდეგ დანიშნა, ხოლო საბოლოო გადაწყ-  
ვეტილება საოქმო ჩანაწერის მიღებიდან ერთი წლისა და  
სამი თვის თავზე მიიღო<sup>279</sup>. „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო  
ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
წინააღმდეგ“ - საქმის განხილვა (სარჩელის რეგისტრაციიდან  
გადაწყვეტილების გამოცხადებამდე) 4 წელი და 5 თვე გაგრ-  
ძელდა<sup>280</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო მართლ-  
მსაჯულებას უნდა ახორციელებდეს ეფექტურად, გონივრულ  
ვადებში, სამართლის პრინციპებისა და კონსტიტუციის სუ-  
ლისკვეთების შესაბამისად. ამ ყოველივეს კი ხელი ეშვება  
სამართალწარმოების ვადების დარღვევით, მნიშვნელოვანი  
გადაცილებებით. მსგავს შემთხვევებში ხშირად სასამართლოს  
გადაწყვეტილებას უკვე აზრი ეკარგება, რადგან მისი ეფექ-  
ტურობა ძალზე იკლებს.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება ხელისუფლების არ-  
ცერთ შტოს განეკუთვნება,<sup>281</sup> რითაც საკონსტიტუციო სასა-

<sup>277</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11  
აპრილის გადაწყვეტილება №1/1/468 საქმეზე, „საქართველოს სახალ-  
ხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>278</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა ნე-  
სრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 87.

<sup>279</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29  
თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/484 საქმეზე, „საქართველოს  
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე  
თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>280</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11  
ივლისის გადაწყვეტილება №3/2/416 საქმეზე, „საქართველოს მოქა-  
ლაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინი-  
სტრის წინააღმდეგ“.

<sup>281</sup> მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 372.

მართლო განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. იგი თავად აკონტროლებს ხელისუფლების სამივე შტოს, თუმცა ამგვარმა უფლებამოსილებამ არ უნდა გამოიწვიოს სასამართლოს მხრიდან საკუთარი თავის გაფეტიშება, არ უნდა ჩამოყალიბდეს დაუსჯელობის განცდა, რადგან არ არსებობს ორგანო, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს „დასჯის“ ან მის შეცდომებს გამოასწორებს, თავად სასამართლოს გარდა.

#### **4. გადაწყვეტილების აღსრულება და პრეცედენტული პრაქტიკა**

##### **4.1. გადაწყვეტილების ძალაში შესვლა**

კონსტიტუციონალიზმში არსებული გამოცდილებით, აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლა შესაძლოა რამდენიმე მომენტს დაუკავშირდეს: ამოქმედდეს დაუყოვნებლივ (გამოცხადებისთანავე), მისი გამოქვეყნებისთანავე ან კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ.<sup>282</sup>

სასამართლოს უნდა შეეძლოს „დაადგინოს ვადები არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის იურიდიულად ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით“<sup>283</sup>. მაგ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, ნორმის გაუქმებისთვის განსაზღვროს გარკვეული ვადა, თუმცა ნორმის გაუქმებამდე იგი უკვე არ ვრცელდება მოსარჩელის ან წარდგინების განმახორციელებელი სუბიექტის მიმართ<sup>284</sup>.

სასამართლოები ხშირად მიმართავენ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დროის განსაზღვრის მეთოდს, რასაც რიგ შემთხვევაში სახელმწიფო ინტერესები განაპირობებს.<sup>285</sup>

---

<sup>282</sup> იქვე, 391.

<sup>283</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნ. „აღამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004, 68.

<sup>284</sup> შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ. „აღამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2003, 18.

<sup>285</sup> ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო კანონი, თუმცა მისი დაუყოვნებლივ გაუქმება ადგილობრივი თვითმმართველობების სისტემის მოშლას

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი გამოცხადების მომენტიდან, ხოლო თუ გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე იქნა მიღებული, მაშინ - გამოქვეყნებისთანავე.<sup>286</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე, თუკი კანონით სხვა გამონაკლისი არაა დადგენილი<sup>287</sup>.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შემთხვევა ვერ იქნება საკანონმდებლო გამონაკლისი, რომელზეც ორგანული კანონი მიუთითებს, რადგან ამ შემთხვევაში პირველი მათგანიც ზოგადწესს ადგენს, იერარქიით კი ორგანულ კანონზე დაბლა დგას<sup>288</sup>. გარდა ამისა, არსებობს კონსტიტუციური ნორმა, რომელიც იმპერატიულად ადგენს, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან<sup>289</sup>.

სახეზეა ნორმათა კოლიზიის შემთხვევა, რომელშიც, რა თქმა უნდა, კონსტიტუციური ნორმა არის უპირატესი. აუ-

---

გამოიწვევდა. საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილების ძალაში შესვლა ორი თვით გადასწია, რითაც კანონმდებელს შესაძლებლობა მისცა, ახალი მონესრიგება შეემუშავებინა ადგილობრივი თვითმმართველობების სფეროში. სწორედ ამ პრეცედენტის შემდგომ უკვე საკანონმდებლო დონეზე მიეცა საკონსტიტუციო სასამართლოს მისი გადაწყვეტილებების ამოქმედების დროის განსაზღვრის უფლებამოსილება. იხ., Абрамовичюс А., Некоторые Аспекты Исполнения Решений Конституционного Суда Литовской Республики, International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium, 2005, 208.

<sup>286</sup> „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №5-6, 24.04.1996, №159-ს.

<sup>287</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>288</sup> „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №33, 09.11.2009, №1876-ს.

<sup>289</sup> საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.

ცილებელია, მსგავსი ტიპის ხარვეზების აღმოფხვრა. შეიძლება ითქვას, რომ, ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილება ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს არაკონსტიტუციურად აღიარებს და აუქმებს მას. ამ უკანასკნელის არსებობის პირობებში, გადაწყვეტილება ძალაშია მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა პრეცედენტი, როდესაც სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილების ძალაში შესვლა დაუკავშირა კონკრეტულ თარიღს, რაც სახელმწიფო ინტერესების არსებობით იყო გამართლებული<sup>290</sup>, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი უფლებამოსილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია, რადგან კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს მისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის წესსა და პირობებს.

## 4.2. გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტური საქმიანობისათვის აუცილებელ წინაპირობას მისი გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს<sup>291</sup>, რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის პროცესის ბოლო ეტაპია და რომლის საფუძველზეც დგება საბოლოო სამართლებრივი შედეგი.<sup>292</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს წარმატებაც დამოკიდებულია სწორედ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საჯარო შეფასებაზე - საზოგადოების მხრიდან მათდამი და-

---

<sup>290</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ გადადო გადაწყვეტილების აღსრულება, თუმცა ამ შემთხვევაში აღსრულება ფაქტობრივად მის ძალაში შესვლას, ამოქმედებას უტოლდებოდა. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება №1/14/184,228 საქმეზე, „სააქციო საზოგადოებები - „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>291</sup> ბენიძე ო., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 16.

<sup>292</sup> მელქაძე ო., დვალი ბ., საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 60.

მოკიდებულებაზე.<sup>293</sup> გადანყვეტილების აღიარებისა და ავტორიტეტულობისათვის, აუცილებელია, იგი ხალხის ღირებულებებთან იყოს შესაბამისობაში<sup>294</sup>.

ზოგადი წესის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, იგი მოქმედებს უშუალოდ და არ შეიძლება მისი დაძლევა გაუქმებული ნორმის ხელმეორედ მიღებით.<sup>295</sup>

სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულება დამოკიდებულია სახელმწიფოში არსებულ სამართლებრივ კულტურასა და მართლშეგნებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება არამხოლოდ მხარეთათვის (*inter partes*), არამედ ყველასათვის სავალდებულოა და ზოგად ხასიათს ატარებს.<sup>296</sup> ხელისუფლების სამივე შტო პატივს უნდა სცემდეს სასამართლოს აზრს და ითვალისწინებდეს მას.<sup>297</sup> ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულია დაემორჩილოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას, რადგან კონსტიტუციის უზენაესობა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებების აღსრულება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია.<sup>298</sup> შეიძლება ითქვას, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებების აღსრულება სამართლებრივი სახელმწიფოს ბარომეტრია“<sup>299</sup>, ამასთან, გადანყვეტილების შეუ-

---

<sup>293</sup> Harutunian G., *Democratic Processes and Present-Day Tasks of the Constitutional Court of the Republic of Armenia*, Translated by Feldbrugge F.J.M., *Review of Central and East European Law*, No.3, 2000, 260.

<sup>294</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუზლავილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 91.

<sup>295</sup> Баглай М. В., *Конституционное Право Российской Федерации*, Москва, 2007, 684.

<sup>296</sup> Hailbronner K. and Hummel H. P., *Constitutional Law, Introduction to German Law*, Edited by Ebke W. F. and Finkin M. W., Kluwer Law International, 1996, 64.

<sup>297</sup> ბენიძე ო., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა აღსრულება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 23.

<sup>298</sup> Mose E., *Constitutional Review and Implementation*, *International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium*, 2010, 159.

<sup>299</sup> Василевич Г. А., *Исполнение Решений Конституционного Суда - Свидетельство Развития Государства по Правовому Пути*, *Конституционное Правосудие*, №1(27), 2005, 31.

სრულელობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს თავად სასამართლოს ავტორიტეტს<sup>300</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფოს სახელით, მოქმედებს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, გააჩნია ზოგადსაგვალდებულო სამართლებრივი ძალა. მთელ რიგ სახელმწიფოებში სპეციალური კანონმდებლობით ნებსრიგდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხები, ხშირად ისინი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასაც ითვალისწინებენ<sup>301</sup>.

ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა ნებას რთავს პარლამენტს, კვალიფიციური უმრავლესობით დაძლიოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>302</sup> პოლონეთისა და რუმინეთის პარლამენტებს შეეძლოთ საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები „დაეძლიათ“.<sup>303</sup> ყაზახეთში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გააუქმოს პრეზიდენტმა<sup>304</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გადაწყვეტილების საბოლოობის ჩამორთმევა „ნიშნავს საპარლამენტო სუვერენიტეტის გაფეტიშებასა და საკონსტიტუციო კონტროლისა და ხელსუფლების დანაწილების დოქტრინებისადმი უნდობლობას“<sup>305</sup>. „არ შეიძლება კანონმდებელმა გადაუხვიოს საყოველ-

---

<sup>300</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 69.

<sup>301</sup> მელქაძე ო., დვალი ბ., საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებანი, ყურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 61. იხ. მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 399.

<sup>302</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 85.

<sup>303</sup> Dürr S. R., Comparative Overview of European Systems of Constitutional justice, International Constitutional Law Journal, Vol. 5, No. 2, 2011, 171; იხ. ციტირება: Jon Elster, The Role of Institutional Interest in East European Constitution-Making – Explaining Legislative Dominance, East European Constitutional Review, 5(6), 1996, 63.

<sup>304</sup> მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 397.

<sup>305</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ.

თაოდ აღიარებულ იმ ელემენტარულ ღირებულებებს, რომლებიც ყველაზე დაბალი მართლშეგნების ადამიანისთვისაც ბუნებრივია»<sup>306</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ დაიშვება, შეუსრულებლობა კი ისჯება კანონით.<sup>307</sup> როგორც კი გადაწყვეტილება შევა ძალაში, აუცილებელია მისი დაუყოვნებლივ აღსრულება.<sup>308</sup> ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების განხილვა არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში.<sup>309</sup> მსგავს ნორმათა იმპერატიულობის მიუხედავად, პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოხდა კანონმდებლობის უგულებელყოფა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დროულად სრულდება, თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემებიც, რომლებიც ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების აღსრულებისას დგება.<sup>310</sup>

საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა პარლამენტი ცდილობდა დაეძლია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.<sup>311</sup> საქართველოს პარლამენტმა არ აღასრულა საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება და იგი

---

ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 86.

<sup>306</sup> ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, ყურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006, 45.

<sup>307</sup> საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>308</sup> იქვე, მე-3 პუნქტი.

<sup>309</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 18 მარტის განჩინება №1/5/226 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) წინააღმდეგ“.

<sup>310</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ყურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004, 63.

<sup>311</sup> The Guarantees of the Independence of the Constitutional Court, 2<sup>nd</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Rio de Janeiro, 16–18 January 2011, 4.

დაძლია საკუთარი გადაწყვეტილებით.<sup>312</sup> პარლამენტმა არ შეასრულა, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და ბათილად გამოცხადებული არჩევნების შედეგად არჩეულ პირებს არ შეუწყვიტა პარლამენტის წევრის სტატუსი<sup>313</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობების ერთგვაროვანი გაგებისათვის უმჯობესი იქნება, თუკი თავად სასამართლო სარეზოლუციო ნაწილში მიუთითებს გადაწყვეტილების არაღსრულებასთან ან არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს.<sup>314</sup> ასევე, გამართლებული იქნება, თუკი თავად გადაწყვეტილებაში ნათლად იქნება ჩამოყალიბებული შესაბამისი ორგანოს მიერ განსახორციელებელი მოქმედებები<sup>315</sup>.

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დანესება სრულიად გაუმართლებელია.<sup>316</sup> ასევე, წარმოუდგენელია განვითარებულ სახელმწიფოში არსებობდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით სპეციალური კანონმდებლობა, რადგან აღნიშნული სახელმწიფოს უაღრესად დაბალი მართლშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის არარსებობის დონეზე მეტყველებს. განვითარებულ სამართლებრივ გარემოში არ უნდა იყოს საჭირო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია, ასევე, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ან ნორმის

---

<sup>312</sup> ზოიძე ო., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, ტენდენციები და პერსპექტივები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 241.

<sup>313</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004, 63.

<sup>314</sup> ბენიძე ო., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 23.

<sup>315</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004, 70.

<sup>316</sup> შეად., ხმალაძე ვ., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 213.

მსგავსი შინაარსის ახალი აქტის ან ნორმის შემუშავება და მიღება.<sup>317</sup> კანონმდებელს არ უნდა სჭირდებოდეს აკრძალვა ან სამართლებრივი აქტი, რომ პატივი სცეს იმ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც კონსტიტუციის უზენაესობის დამცველი უმაღლესი სახელმწიფო ორგანოა. პარლამენტი არ უნდა ცდილობდეს სასამართლოს გადაწყვეტილების დაძლევის საშუალებების ძიებასა და გამოგონებას. სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან გადახვევის რაციონალური გზა, რომლითაც არ შეიძლება საკონსტიტუციო კონტროლის ქეშმარიტი არსი და დანიშნულება.

### **4.3. ერთგვაროვანი პრაქტიკა და გადაწყვეტილებების პრეცედენტულობა**

ევროპული მოდელის ბევრი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს სამართლის პირდაპირ წყაროს და მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.<sup>318</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები უშუალოდ ახდენს გავლენას სხვა კონსტიტუციურ ორგანოებზე, რის გამოც მისთვის დამოუკიდებლობის უფრო მეტი ხარისხი უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ვიდრე საერთო სასამართლოებისათვის<sup>319</sup>.

კონსტიტუციურსამართლებრივი კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენება ეროვნული კონსტიტუციონალიზმის განვითარების დონის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი.<sup>320</sup> გფრ-ის საკონსტიტუციო სასამართლო თავისი პრაქტიკით მნიშვნელოვნად განაპირობებს გერმანული

---

<sup>317</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>318</sup> Arnaiz A. S., Constitutional Jurisdiction in Europe: Between Law and Politics, Maastricht Journal, Vol. 111, 1999, 124.

<sup>319</sup> Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Translated by Ignaski J., Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, 1984, 95.

<sup>320</sup> Стецюк П., Роль Конституционного Суда Украины в Процессе Формирование Современного Украинского Конституционализма, International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium, 2009, 83.

კონსტიტუციური სამართლის განვითარებას.<sup>321</sup> ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოები მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და ხშირად იყენებენ ერთმანეთის სასამართლო პრაქტიკას, რაც სამართლებრივი სისტემების მსგავსებით, კულტურული სიახლოვითა და უფრო მეტი გამოცდილების არსებობით აიხსნება<sup>322</sup>.

შტაინბერგერის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება ზოგადსავალდებულო ნორმის ხასიათის მატარებელია.<sup>323</sup> თუმცა მეცნიერთა ნაწილი ამით არ კმაყოფილდება და მას ნორმატიულ აქტსაც კი უთანაბრებს, ნორმატიულ ხასიათსა და პრეცედენტის მნიშვნელობას ანიჭებს.<sup>324</sup> ზორკინის მოსაზრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება ჰიბრიდული ბუნების მატარებელია, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც სასამართლო პრეცედენტის, ისე პრეიუდიციის ელემენტებს და წარმოადგენს განსაკუთრებული ხასიათის ნორმატიულ აქტს<sup>325</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებების პრეცედენტულობა იმაში გამოიხატება, რომ ეს გადანყვეტილებები ნორმატიულ ხასიათს ატარებს - ზოგადსავალდებულოა, პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება და მუდმივია.<sup>326</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტებს განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი და სპეციფიკა გააჩნიათ, სხვა სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის, საერთო სასამართლოების

---

<sup>321</sup> Кrumm P., Конституционный Патриотизм в Германии, Конституционное Правосудие, №3(37), 2007, 58.

<sup>322</sup> მო დ., უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №2, 2011, 12.

<sup>323</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004, 62.

<sup>324</sup> Зорькин В., Прецедентный Характер Решений Конституционного Суда Российской Федерации, Конституционное Правосудие, №3(33), 2006, 7.

<sup>325</sup> Василевич Г., Решения Конституционного Суда Как Источник Права и Их Соотношение с Актами Иных Судебных Органов, Конституционное Правосудие, №2(28), 2005, 58.

<sup>326</sup> Пулбере Д., Судебный Прецедент Конституционного Суда Как Источник Права и Его Роль в Преодолении Законодательных Пробелов, International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium, 2009, 124.

პრეცედენტებთან შედარებით.<sup>327</sup> სასამართლო პრეცედენტი ავსებს ხარვეზებს კანონმდებლობაში და განმარტავს ნორმატიულ აქტს<sup>328</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულობა ორი მიმართულებით გამოვლინდება: საკონსტიტუციო სასამართლოს *ნორმატიული* და *განმარტებითი* ხასიათის გადაწყვეტილებები.<sup>329</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ იღებს ცალკე განმარტებითი ხასიათის გადაწყვეტილებებს, თუმცა ნორმატიული ხასიათის გადაწყვეტილების მიღებისას იგი კონსტიტუციური ნორმის ავთენტურ განმარტებას ადგენს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აყალიბებს ერთგვაროვან პრაქტიკას და ითვალისწინებს როგორც მის ადრინდელ, ისე ევროსასამართლოსა და ნამყვანი სახელმწიფოების საკონსტიტუციო სასამართლოებების გამოცდილებას. ორივე კოლეგია მიჰყვება სასამართლოს მიერ დადგენილ ერთიან სასამართლო პრაქტიკას და ერთგვაროვნად გამოიყენებს აქამდე არსებულ გამოცდილებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას.<sup>330</sup> ამ შემთხვევაში საკითხს სასამართლოს პლენუმი განიხილავს<sup>331</sup> და ადრე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მისაღებად სრული შემადგენლობის უმრავლესობა სჭირდება<sup>332</sup>.

სასამართლო განსაკუთრებით ხშირად მიმართავს ევროსასამართლოს პრაქტიკის გამოყენებას, რაც მისასაღებელია, რადგან ფუნქციურად ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით

---

<sup>327</sup> Василевич Г., Решения Конституционного Суда Как Источник Права и Их Соотношение с Актами Иных Судебных Органов, Конституционное Правосудие, №2(28), 2005, 56.

<sup>328</sup> იქვე, 53.

<sup>329</sup> Пулбере Д., Судебный Прецедент Конституционного Суда Как Источник Права и Его Роль в Преодолении Законодательных Пробелов, International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium, 2009, 127.

<sup>330</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>331</sup> იქვე, პირველი პუნქტი.

<sup>332</sup> იქვე, მე-2 პუნქტი.

ევროპული სასამართლო ევროპისათვის ზეეროვნული საკონსტიტუციო სასამართლოა<sup>333</sup>.

აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ზოგადსავალდებულო ძალა და მისი პრეცედენტული ხასიათი სხვა სახელმწიფო ორგანოებმაც გაითავისონ, რადგან სასამართლოს პრაქტიკა კონკრეტული დავების გადაწყვეტასთან ერთად ავითარებს ერთიან დოქტრინას, მიდგომას კონსტიტუციური ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, აუცილებელია, სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციური ნორმის განმარტება, რომელიც მის გადაწყვეტილებაშია ინკორპორირებული, სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იყოს ნებისმიერი პირისათვის.

მნიშვნელოვანი პრობლემაა თავად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სტატუსი, რომელიც კონსტიტუციით უნდა იყოს განსაზღვრული და სახელმწიფოში სავალდებულო სამართლებრივი აქტის ხასიათით მოქმედებდეს.

## 5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა კვალიფიკაცია

საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციური პირებითაა იგი დაკომპლექტებული. სასამართლო ადამიანებისგან შედგება, მისი გადაწყვეტილებები სასამართლოს წევრთა ინტელექტუალური წვის შედეგია.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობა განსაკუთრებულ „კონტექსტუალურ ხედვას“ მოითხოვს, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ამ თანამდებობაზე უნივერსიტეტის პროფესორებს და სამართლის თეორეტიკოსებს ნიშნავენ.<sup>334</sup> დასაინიშნი/ასარჩევი კანდიდატების მიმართ შესაძლებელია სხვადასხვა ცენზი<sup>335</sup>, მოთხოვნა და პირობა იყოს წაყენებული.

---

<sup>333</sup> Sadurski W., *Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence*, Legal Studies Research Paper, No. 11/15, 2011, 16.

<sup>334</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 90.

<sup>335</sup> გავრცელებულია ასაკობრივი, პროფესიული, იშვიათ შემთხვევებში მორალურობისა და ბინადრობის ცენზის დადგენაც კი. იხ., მელქაძე ო., დვალი ბ., საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმი-

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს პირი 30 წლის ასაკიდან, რომელსაც გააჩნია იურიდიული განათლება<sup>336</sup>. კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, კონსტიტუციასა და საქართველოს კანონმდებლობაში სხვა რაიმე მოთხოვნა არ არსებობს<sup>337</sup>, რაც არამხოლოდ გულდასაწყვეტია სამართლებრივი კულტურის მდგომარეობიდან გამომდინარე, არამედ შემაშფოთებელიც კია.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ გაცილებით ნაკლები მოთხოვნებია წაყენებული, ვიდრე საერთო სასამართლოების მოსამართლეების მიმართ, რაც ამ სასამართლოთა სტატუსის ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, სრულიად ალოგიკური და უსაფუძვლოა<sup>338</sup>.

2005 წლის 29 დეკემბრის საკონსტიტუციო ცვლილებებმა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 35 წლიდან 30 წლამდე დასწია<sup>339</sup>, რამაც მნიშვნელოვნად გააახალგაზრდავა საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა შემდგომში.

30 წელი ძალზედ მცირე ასაკია იმისათვის, რათა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსი მიიღოს ადამიანმა. ასეთი მცირე ასაკი არ მიუთითებებს სახელმწიფოს მაინც-

---

რების წესი და საპროცესო თავისებურებანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 55; Баглай М. В., Конституционное Право Российской Федерации, Москва, 2007, 678.

<sup>336</sup> საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.

<sup>337</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, ხოლო მე-2 პუნქტი დამატებით აღნიშნავს, რომ კანდიდატის შერჩევას უნდა იქნეს გათვალისწინებული პირის პროფესიული გამოცდილება და რამდენად შეეფერება იგი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს. იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს.

<sup>338</sup> იხ., კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 101.

<sup>339</sup> იხ., 2005 წლის 29 დეკემბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, №2496—რს.

დამაინც მაღალ სამართლებრივ კულტურაზე<sup>340</sup>. აქ საუბარი არაა იმაზე, რომ ზოგადად ახალგაზრდები არ უნდა დაინიშნონ თანამდებობებზე, საუბარია კონკრეტულად საკონსტიტუციო სასამართლოზე, რომელსაც ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ორგანოსაგან, მათ შორის, საერთო სასამართლოსგანაც, განსხვავებული სტატუსი და მისია გააჩნია. მეორე მხრივ, დაუშვებელია ასაკობრივი ზღვრის ძალზედ მაღლა აწევა - ეს უკვე მეორე უკიდურესობა იქნება, რომელიც ასევე არასასურველ შედეგებს მოიტანს<sup>341</sup>. აღნიშნული ასაკი ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების შემთხვევაში საშუალოდ 40 წელს შეადგენს<sup>342</sup>, რომელიც საქართველოს შემთხვევას 10 წლით, ე.ი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების მთელი ვადით აღემატება.

ასაკთან ერთად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ პროფესიული მოთხოვნაც მოქმედებს, თუმცა კონსტიტუცია მოითხოვს მხოლოდ იურიდიულ განათლებას<sup>343</sup> და არაა დაკონკრეტებული, თუ რა საფეხურის უმაღლეს განათლებაზეა საუბარი. კონსტიტუციის ტექსტის განმარტებით, შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დაინიშნოს პირი, რომელიც მხოლოდ ბაკალავრის

---

<sup>340</sup> 30 წლიანი ასაკობრივი მინიმუმი დადგენილია აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის რესპუბლიკებში და ა.შ. იხ., Art. 126(1), Constitution of the Republic of Azerbaijan; Art. 89, Constitution of the Republic of Tajikistan; Constitutional Law of the Republic of Kazakhstan about the Constitutional Council of the Republic of Kazakhstan, December, 29, 1995.

<sup>341</sup> 1959-61 წლებში საკონსტიტუციო საბჭოს წევრთა საშუალო ასაკი 65 წელს აჭარბებდა, რაც უმაყოფილების მიზეზი გახდა, შემდგომ წლებში წევრთა დანიშვნები იმგვარად წარიმართა, რომ მოხერხდა საშუალო ასაკის რამდენიმე წლით დაწევა. იხ. კვერენჩხილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 63.

<sup>342</sup> 40 წელია დადგენილი გერ-ში, რფ-ში, თურქეთში, სერბეთის რესპუბლიკაში, სლოვენის რესპუბლიკაში, უკრაინაში და ა.შ. არსებობს კიდევ უფრო მაღალი მინიმალური ზღვარი რამდენიმე სახელმწიფოში. იხ., Баглай М. В., Конституционное Право Российской Федерации, Москва, 2007, 678; მელქაძე ო., დვალი ბ., საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 55; Art. 146(3), Constitution of Turkey, 1982; Art. 172, Constitution of the Republic of Serbia; Art. 148, Art. 9, Constitutional Court Act of the Republic of Slovenia, entered into force in 15 July 2007; Constitution of Ukraine, 28 June 1996;

<sup>343</sup> საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს.

აკადემიურ ხარისხს ფლობს სამართალში, რაც ნამდვილად გაუმართლებელია. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია პროფესიული მინიმუმი სამართალში მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მაინც იყოს.

მნიშვნელოვანი პრობლემაა პროფესიული გამოცდილების სავალდებულოობის არარსებობა, რომელმაც შესაძლოა დამღუპველად იმოქმედოს სასამართლოს წევრის მიერ სასამართლოს საქმიანობაში ჩართვის საწყის ეტაპზე. საქართველოში ამგვარი მოთხოვნის არარსებობის პარალელურად, განვითარებულ სახელმწიფოებში დადგენილი სავალდებულო გამოცდილების ხანგრძლივობა 10-დან 20 წლამდე მერყეობს<sup>344</sup>. ზოგიერთ სახელმწიფოში არ არის დადგენილი ასაკობრივი მინიმუმი, თუმცა იმდენად დიდი პროფესიული გამოცდილების მოთხოვნაა პირის მიმართ წაყენებული, რომ თავისთავად შეუძლებელი ხდება, 40-45 წლამდე ადამიანი დაინიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არ არის სავალდებულო მოსამართლეები იქნან განმწესებული, ხშირად ამ თანამდებობას პრაქტიკოსი იურისტები, პროფესორები და მაღალი სტატუსის სახელმწიფო მოხელეები იკავებენ.<sup>345</sup> მართალია, სასამართლოს წევრთა შერჩევის პროცესი უფრო პოლიტიკურია, ვიდრე სამართლებრივი<sup>346</sup>, მაგრამ, აუცილებელია, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს აკადემიური სამართლებრივი წრეების წარმომადგენლებს პრაქტიკოსებთან ერთად, რადგან სასამართლოს მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას ხშირად მისი წევრების განათლება და აკადემიური სტატუსი განაპირობებს.

## 6. კანონმდებლობის გაუმართაობა

<sup>344</sup> მელქაძე ო., დვალი ბ., საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 54; იხ. Баглай М. В., Конституционное Право Российской Федерации, Москва, 2007, 678.

<sup>345</sup> მელქაძე ო., დვალი ბ., საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 50.

<sup>346</sup> ბეჟიტაშვილი ო., მელქაძე ო., იტალიის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 137.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის გამართულ და სრულყოფილ არსებობას საჭიროებს. პრობლემების ნაწილი სწორედ კანონმდებლობის არსებული მოწესრიგებიდან გამომდინარეობას.

1995 წლის კონსტიტუციით განისაზღვრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის ძირითადი დებულებები. 1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორი კანონი<sup>347</sup>, რომელიც ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს: პირველი გახლდათ ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, ხოლო მეორე - საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო საართალწარმოების შესახებ“.

სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული კანონები ერთმანეთის მსგავს, აბსოლუტურად იდენტურ ძალზედ ბევრ ნორმას შეიცავს, რაც გაუგებარს ხდის მათ ცალ-ცალკე არსებობას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი აწესრიგებს როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურის, ორგანიზაციისა და უფლებამოსილებების საკითხს, ისე, მნიშვნელოვანწილად, მოიცავს სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ ნორმათა მთელ რიგს. ამასთან, ორივე კანონში მრავლადაა კოლიზიური ნორმებიც, რაც გაუგებრობებსაც იწვევს<sup>348</sup>.

ორი კანონის არსებობის პირობებში, აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ორგანული და ჩვეულებრივი კანონის მოწესრიგების სფერო. ჩვეულებრივი კანონით უნდა განისაზღვროს უშუალოდ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, რომლის მომწესრიგებელი ნორმებისგან სრულიად უნდა გათავისუფლდეს ორგანული

---

<sup>347</sup> იხ., პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996; პარლამენტის უწყებანი №5-6, 24.04.1996.

<sup>348</sup> „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის ურთიერთმიმართება; „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის ურთიერთმიმართება და ა.შ.; იხ., კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 223-224.

კანონი. ბევრ სახელმწიფოს მხოლოდ ერთი კანონი აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, რომლითაც წესრიგდება როგორც სასამართლოს ორგანიზაცია, სტრუქტურა, უფლებამოსილებები, ისე სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები<sup>349</sup>.

აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტიც, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რეგლამენტით შეიძლება განისაზღვროს სასამართლოს საქმიანობის და ეთიკის წესები, ასევე, მისი სტრუქტურა და სამართალწარმოების გარკვეული საკითხები<sup>350</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი მოიცავს სამართალწარმოების მთელ რიგ დეტალებს, რომლებიც აუცილებელია სრულყოფილი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. ამის გარდა, მასში მოცემულია საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის, დამხმარე პერსონალთან დაკავშირებული საკითხები. კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს რეგლამენტს ამტკიცებს პლენუმი სრული შემადგენლობის უმრავლესობით<sup>351</sup>.

აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტს ჰქონდეს კანონის ძალა, რათა სასამართლოს ორგანიზაციისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნორმებმა, რომლებიც რეგლამენტშია მოცემული, უფრო მაღალი სტატუსი მიიღონ და შესასრულებლად ყველასთვის სავალდებულო გახდეს. მას პარლამენტის რეგლამენტსა და პრეზიდენტის დეკრეტზე არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია<sup>352</sup>.

---

<sup>349</sup> იხ., Constitutional Court Act of the Czech Republic, 16 June 1993, 182/1993 Sb.; Constitutional Court Law of the Republic of Latvia, 14 June 1996; Law on the Constitutional Court of the Republic of Lithuania, 3 February 1993, No. I-67; Law on the Federal Constitutional Court of the Federal Republic of Germany, 12 March 1951, Federal Law Gazette I p. 243 და ა.შ.

<sup>350</sup> მელქაძე ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 376.

<sup>351</sup> საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ 35-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი №5-6, 24.04.1996, №159-ს

<sup>352</sup> პარლამენტის რეგლამენტი და პრეზიდენტის დეკრეტი კანონთან გათანაბრებული ნორმატიული აქტებია. იხ., „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-10 პუნქტი, მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №33, 09.11.2009, №1876-ს.

#### თავი IV. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ეფექტურობისა და სრულყოფისათვის აუცილებელი ნაბიჯები - წინადადებები და რეკომენდაციები

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება მუდმივად განვითარებადი, დინამიური პროცესია. აუცილებელია გამოცდილების დაგროვება, შესაბამისი კანონმდებლობის მუდმივი სრულყოფა და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის პერიოდული როგორც თვით, ისე ზოგადი შეფასება. მითუმეტეს, როდესაც საქართველოში მას არსებობის მხოლოდ 16 წლიანი ისტორია გააჩნია. ეს კიდევ უფრო განაპირობებს ამ ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების გამუდმებულ ყურადღებასა და მის დამოუკიდებელ, პოლიტიკურ ძალთა „გარეშე“, არაასოცირებულ სტატუსს, რომელიც მანვე უნდა განამტკიცოს და დაიცვას.

აუცილებელია, ის სისტემური პრობლემები, რომლებიც ქართულ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას უკავშირდება, ეტაპობრივად აღმოიფხვრას:

1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული და „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის ნაცვლად, უნდა შემუშავდეს ერთი ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“<sup>353</sup>, რომელიც მოაწესრიგებს როგორც სასამართლოს ორგანიზაციის, სტრუქტურის, უფლებამოსილებების, ისე სამართალწარმოების საკითხებს. ასევე, უნდა დადგინდეს სწორი სამართლებრივი ცნებები და არ უნდა მოხდეს მათი აღრევა მსგავს ან სრულიად არასწორ ტერმინებში. კანონის შექმნისას უნდა იქნას გათვალისწინებული სასამართლოს მიერ დაგროვებული გამოცდილება და სამეცნიერო დოქტრინა, ასევე, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ნებისმიერი კოლიზია კონსტიტუციასთან ან სხვა კანონებთან.

2. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტს უნდა მიენიჭოს კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტის სტატუსი. სა-

<sup>353</sup> ამ შემთხვევაში კანონის დასახელებას სიტყვა „საქართველო“ აღარ სჭირდება, რაც მოქმედ ორგანულ კანონშიც ზედმეტია, რადგან საქართველოს ორგანული კანონი არ შეიძლება აწესრიგებდეს რომელიმე სხვა სახელმწიფოს ორგანოს უფლებამოსილებებს. ისედაც ივარაუდება, რომ კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებაა.

კონსტიტუციო სასამართლო არ არის საერთო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებები და სამართლებრივი აქტები არ შეიძლება ნორმატიული აქტის სახით იყოს მოცემული. საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის გაუქმების უფლებამოსილება კი გააჩნია, რომლის განხორციელების პროცესი არ შეიძლება კანონმდებლობის ორგანული ნაწილი არ იყოს და არ ითვალისწინებდეს ყველას მხრიდან როგორც მორალურ, ისე სამართლებრივ ვალდებულებას, მისი შესრულებისა და დაცვის კუთხით.

3. არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხი, დიდი პოლიტიკური ხასიათის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაში უნდა შედიოდეს. მსგავსი უფლებამოსილება თავად სახელმწიფოს განვითარებულობისა და დემოკრატიულობის გარანტიად მიიჩნევა. ამასთან, ამ უფლებამოსილებით აღჭურვილია მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოების საკონსტიტუციო სასამართლოებისა და მათი ექვივალენტი ორგანოების უდიდესი ნაწილი. უნდა აღდგეს ძველი მონესრიგება, რომლის მიხედვითაც, სასამართლო უფლებამოსილი იყო, არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული საკითხები განეხილა.

4. „რეალური“ ან პრევენციული კონტროლის დამკვიდრება არ ნაადგება ჯერ კიდევ ახალგაზრდა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელსაც კიდევ სჭირდება გამოცდილების დაგროვება.<sup>354</sup> ამასთან, კონტროლის ორივე სახე ზოგადად, ისედაც პოლიტიკური მართლმსაჯულების ორგანოს კიდევ უფრო მეტ პოლიტიზებას იწვევს. გაცილებით გამართლებული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონისა და კონსტიტუციური შეთანხმების ნორმათა განმარტების უფლებამოსილების მინიჭება. რა თქმა უნდა, აუცილებელია მოსარჩელე სუბიექტთა წრის განსაზღვრაც, თუმცა მსგავსი კომპეტენციის ფარგლებში სასამართლო შეძლებს კონსტიტუციურ ნორმათა ავთენტური ინტერპრეტაციის დადგენასა და გავრცელებას, რომლის გამოყენების ვალდებულებაც ექნება ნებისმიერ პირს.

---

<sup>354</sup> რეალური კონტროლი უფრო სამომავლო პერსპექტივაა და მისი გამოყენებისათვის სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, მორალურადაც უნდა იყოს მზად. ამ ინსტიტუტის გაუზარებელმა დანერგვამ უფრო დიდ პრობლემასთან შეიძლება მიგვიყვანოს.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ დადგენილი ცენზები უნდა გამკაცრდეს და განისაზღვროს დამატებითი მოთხოვნები. არსებული მდგომარეობით, ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც სასამართლოს წევრი უნდა აკმაყოფილებდეს, თავად არ შეეფერება „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს“. 30 წლიანი ასაკობრივი მინიმუმის ნაცვლად უნდა განისაზღვროს 40 წელი, როგორც ეს მსოფლიოს მრავალ განვითარებულ სახელმწიფოშია მიღებული.

6. სასამართლოს წევრის მიმართ უნდა დაწესდეს უფრო მაღალი პროფესიული სტანდარტი და ნაცვლად უბრალოდ იურიდიული განათლებისა, სავალდებულო იყოს სრული იურიდიული განათლების (მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული პირის სტატუსი) ქონა. განათლების ცენზს უნდა დაემატოს გამოცდილების მოთხოვნა, რომელიც საერთო სასამართლოს მოსამართლისათვის დადგენილ პერიოდზე (5 წელი) ნაკლები არ უნდა იყოს.

7. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ უნდა შეიძინოს ზოგადსავალდებულო პრეცედენტის ხასიათი. მან უნდა იზრუნოს საკუთარი პრაქტიკის გამდიდრებასა და მუდმივ გამოყენებაზე საკუთარ გადაწყვეტილებებში. იშვიათად უნდა იცვლებოდეს საკონსტიტუციოს მიერ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. განსხვავებული გადაწყვეტილების მისაღებად, პლენუმის უბრალო უმრავლესობის ნაცვლად, უნდა განისაზღვროს კვალიფიციური უმრავლესობა (სრული შემადგენლობის არანაკლებ  $2/3$ <sup>355</sup>).

8. საქმის განხილვის ვადა 9 თვიდან უნდა შემცირდეს 6 თვემდე, ასევე, მკაცრად განისაზღვროს ვადის გასვლის სამართლებრივი შედეგები. *Numerus clausus* პრინციპით უნდა დადგინდეს, რა შემთხვევაშია შესაძლებელი ვადის გაგრძელება, დამატებითი ვადა კი არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. ზუსტად უნდა გაინეროს სასამართლო მოქმედებათა ვადები

---

<sup>355</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში, პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მისაღებად, აუცილებელია, პლენუმის სხდომას ესწრებოდეს სრული შემადგენლობის  $2/3$  მაინც, თუმცა გადაწყვეტილება დამსწრეთა უმრავლესობით მიიღება. ქართული სინამდვილისათვის უმჯობესი იქნება, თუკი გფრ-ის მოწესრიგებაზე რთული მექანიზმი დადგინდება, მცირე საკონსტიტუციო ისტორიისა და პრაქტიკის არსებობის გამო. იხ., ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 22.

და მათ შორის პერიოდული დაშორება, განსაკუთრებით, საქმის არსებით განხილვაში მიღება, განმწესრიგებელი სხდომა, გადაწყვეტილების გამოცხადება, სათათბიროში ყოფნის პერიოდი.

9. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დასაბუთების საფუძველზე, თავად გადაწყვიტოს კონკრეტული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტი, მის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, სასამართლო უნდა აღიჭურვოს უფლებამოსილებით, აღსრულების საკითხი დაავალოს კონკრეტულ სახელმწიფო ორგანოს და დაანოს შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების არაღსრულებისა თუ აღსრულების გაჭიანურებისათვის.

10. ზოგიერთი დავა დიდი ხნის განმავლობაში განიხილება და საბოლოო შედეგი შესაძლოა ისეთ დროს დადგეს, როდესაც მას არავითარი მნიშვნელობა გააჩნია. არსებობს შემთხვევები, როდესაც უსწრაფესი რეაგირებაა საჭირო, რათა მოხდეს უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის დაცვა, შესაძლო გართულებების პრევენცია. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, დროებითი განკარგულებით მოაწესრიგოს საკითხი საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, თუკი ამით შესაძლებელი იქნება პირისთვის მნიშვნელოვანი ზიანის აცილება ან განპირობებულია საერთო, საზოგადოებრივი ინტერესით.<sup>356</sup> მას შეუძლია, დააყადაღოს ქონება ან გასცეს ჩხრევის ნებართვაც კი, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.<sup>357</sup> უმჯობესი იქნება, თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც ექნება უფლება, კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, მოაწესრიგოს საკითხი დროებით, სანამ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

11. სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის აუცილებელია გაუქმდეს სასამართლოს თავმჯდომარის ორჯერ არჩევის შესაძლებლობა. თავმჯდომარის კანდიდატურის დაყენება უნდა ხდებოდეს უკვე არსებული სასამართლო შემადგენლობიდან და არა გარეშე, პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით. მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს

<sup>356</sup> ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 52.

<sup>357</sup> იქვე, 75, იხ. ციტირება: გერმანიის ფერელური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 38(1)-ე პარაგრაფი.

წევრს ან წევრთა ჯგუფს უნდა შეეძლოს კანდიდატის დასახელება. ხუთწლიანი ვადის ნაცვლად, კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, რომ თავმჯდომარედ აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მისი დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.<sup>358</sup> შესაბამისად, მისი, როგორც სასამართლოს წევრის და თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ამოწურვა დაუკავშირდება ერთსა და იმავე ფაქტს, რაც ძალზედ ბევრ უხერხულობასა და ფორმალურ სირთულეს მოაგვარებს.

12. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში (ამ შემთხვევაში კონკრეტულად საქმის განხილვა იგულისხმება) ძალზედ იშვიათად ერთვება. თუკი საქმეს პლენუმი განიხილავს, როგორც პლენუმის თავმჯდომარე, იგი ხელმძღვანელობს საქმის განხილვასაც. აუცილებელია, სასამართლოს თავმჯდომარე უფრო მეტი დატვირთვით განიხილავდეს საქმეებს. სასამართლოს წევრთა რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას, შეიქმნას სამი კოლეგია, რომელთაგან ერთ-ერთს უშუალოდ სასამართლოს თავმჯდომარე უხელმძღვანელებს, ყოველ კოლეგიაში კი სამსამი წევრი შევა<sup>359</sup>. ეს დააჩქარებს როგორც საქმეების განხილვას, ისე ხელს შეუწყობს საქმეთა რაციონალურ გადაწყვეტილებას. თავმჯდომარე მაინც წარმომადგენლობითი ფიგურაა და მისი საქმიანობის სპეციფიკად გამომდინარე, მაქსიმალური დატვირთვით ვერც ჩაერთვება საქმისწარმოებაში, თუმცა ამ პრობლემას დანარჩენი ორი კოლეგია მიხედავს.

13. საკონსტიტუციო სასამართლო უნდა ზრუნავდეს ეროვნული კონსტიტუციური სამართლის განვითარებასა და დახვეწაზე.<sup>360</sup> სასამართლო უნდა ეწეოდეს მისი პრაქტიკის განზოგადებასა და ანალიზს, რათა შემდგომში წარმოსაშობს პრობლემებს უკვე გაანალიზებული გადაჭრის საშუალებებით

<sup>358</sup> აუცილებლად უნდა დადგინდეს წლების ის მინიმალური ოდენობა, რომელიც დარჩა პირს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, რათა გამოირიცხოს თავმჯდომარეების ხშირი ცვლის ალბათობა. მაგ., შეიძლება უფლებამოსილების ამოწურვამდე არანაკლებ სამი წლის არსებობის დათქმის გაკეთება.

<sup>359</sup> დემეტრაშვილი ა., საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის გარანტია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 204.

<sup>360</sup> იხ., Стецюк П., Роль Конституционного Суда Украины в Процессе Формирования Современного Украинского Конституционализма, International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium, 2009, 83; Кrumm P., Конституционный Патриотизм в Германии, Конституционное Правосудие, №3(37), 2007, 58.

შეხვედეს. ამასთან, კვლევა უნდა იყოს სისტემური და ორგანიზებული. ამის განსახორციელებლად საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურაში უნდა არსებობდეს სპეციალური კვლევითი ცენტრი, რომელიც პრაქტიკის ანალიზზე, თეორიული საკითხების დამუშავებასა და სტატისტიკის სისტემურ კვლევაზე იმუშავებს.

## დასკვნა

საკონსტიტუციო კონტროლი და მისი განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობა ყოველთვის იქნება ყურადღების ცენტრში. ეს ის საკითხებია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთლიანად სახელმწიფოს გამართულ ფუნქციონირებაში. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი სახე, კიდევ უფრო საინტერესოს ხდის თანამედროვე სახელმწიფოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ მონყობას.

ნაშრომის კვლევის საგანი გახლდათ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების პრობლემატიკა ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში. 16 წელზე მეტია, რაც დამოუკიდებელ საქართველოში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს. ისევე, როგორც ყველა განვითარებად სახელმწიფოში, საქართველოშიც საკონსტიტუციო სასამართლოს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მისგან ყოველთვის მოელიან ობიექტურ და მიუკერძოებელ გადანყვეტილებას, რომელიც საზოგადოებაში სამართლებრივი სახელმწიფოს, მართლშეგნებისა და სამართლიანობის განცდას განამტკიცებს. მისი არსებობის ისტორიაში საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ მიუღია საკმაოდ პრინციპული გადანყვეტილება, რომელსაც მნიშვნელოვანი ძვრები მოჰყოლია მთელ ქვეყანაში, როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური კუთხით.

კვლევის მიზანი გახლდათ საქართველოში საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა, საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული იმ სისტემური პრობლემების გამოვლენა და გაანალიზება, რომელიც ხელს უშლის საკონსტიტუციო სასამართლოს მასზე დაკისრებული მიზნების ჯეროვან შესრულებაში.

გამოიკვეთა ის ძირითადი სისტემური პრობლემები, რომლებიც უშუალოდ საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელებისას იჩენს თავს და ასევე, იმ პრობლემათა კატეგორია, რომლებიც სამართალწარმოების საკანონმდებლო და მენტალურ საფუძვლებში მდებარეობს. პრობლემების ერთი მიმართულება მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების შეზღუდვას არჩევნებისა და რეფერენდუ-

მის საკითხთან დაკავშირებით, ასევე, სასამართლოს წევრთა ზოგადმენტიალურ მიჯაჭვულობას სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობასა და საკუთარ მსოფლმხედველობასთან, სასამართლოს თავმჯდომარედ ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობით მანიპულირებისა და სასამართლოს საქმიანობაზე გავლენის მოხდენის ალბათობას. პრობლემათა მეორე მიმართულება წარმოადგენს ძალზედ დიდ სამართალწარმოების ვადებს ან ხშირ შემთხვევაში მათი საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობას სერთოდ, რაც საქმის უსასრულოდ გაჭიანურების საშუალებას იძლევა. ეს კი თავისთავად არაეფექტური მართლმსაჯულების ერთ-ერთი ნიშანია. მესამე მიმართულება სასამართლო გადაწყვეტილებათა ძალაში შესვლა, აღსრულება და პრეცედენტული პრაქტიკაა. კანონმდებლობაში დღემდე არ არსებობს ერთიანი პოზიცია გადაწყვეტილების ძალაში შესვლის წესთან დაკავშირებით, ასევე, სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, თავად განსაზღვროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის კონკრეტული თარიღი და მისი აღსრულება დაუკავშიროს კონკრეტულ სახელმწიფო ორგანოს, განუსაზღვროს მას აღსრულების პირობები. სირთულეთა მეოთხე და საკვანძო მიმართულება სამართალწარმოებისა და ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არსებული კანონმდებლობის არასრულყოფილებაა. ხშირია კოლიზიური და ე.წ. „გადამფარავი“ ნორმები, რაც სამართალწარმოების განხორციელების პროცესზე აისახება და არცთუ ისე სახარბიელო შედეგებს იძლევა.

ნაშრომში, პრობლემების დადგენის პარალელურად, მოცემულია პრობლემათა გადაწყვეტის ერთიანი კონცეფცია, რომელიც მიმართულია არამხოლოდ არსებული სირთულეების გადაჭრაზე, არამედ მომავალში შესაძლო პრობლემათა პრევენციაზე. მნიშვნელოვანია, გაიმართოს კანონმდებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭოს ქმედითი უფლებამოსილებები, უფრო მეტად იყოს ჩართული სახელმწიფოში მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებში საკუთარი სტატუსისა და ფუნქციების შეუზღავდად.

საკონსტიტუციო სასამართლო მის შესახებ იმ დადებითი დამოკიდებულის ინერციით მოძრაობს, რომელიც ხანმოკლე ისტორიის განმავლობაში ამ ინსტიტუტმა მოიპოვა. თუმცა თუკი არსებული პრობლემები არ გადაიჭრა და მის მიმართ კანონმდებლის მხრიდან დამოკიდებულება არ შეიცვალა, საკონსტიტუციო სასამართლო იქნება მხოლოდ და მხოლოდ სა-

კონსტიტუციო კონტროლის *de jure* განმახორციელებელი ორგანო, რომლის გადაყვეტილებები არ იქნება ქმედითი, შემცირდება მის მიმართ საზოგადოების ნდობა და სინამდვილეში კანონმდებლობით გათვალისწინებულ „ზედმეტ“, არასაზოგადოებრივ სახელმწიფო ინსტიტუტად გადაიქცევა.

# გამოყენებული მასალები

## სამეცნიერო ლიტერატურა

1. ბენიძე ო., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997.
2. ბეჟიტაშვილი ო., საკონსტიტუციო კონტროლი იტალიაში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997.
3. ბეჟიტაშვილი ო., მელქაძე ო., იტალიის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, გამომცემლობა „უფლება“, 1997.
4. ბლანკენაგელი ალ., გაული ვ., კონსტიტუციური მომენტები და საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ყოველდღიური ცხოვრება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000.
5. გაუტალინი ა., საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოების ჩამოყალიბების პროცესი თათრეთის რესპუბლიკაში, თ. დემეტრაშვილის თარგმანი, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2000.
6. გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998.
7. დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თ. ნინიძისა და ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2010.
8. დემეტრაშვილი ა., საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის გარანტია, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000.
9. დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2011.
10. ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006.
11. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა ნებსრიგი საქართველოში, თბილისი, 2007.
12. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004.
13. ზოიძე ო., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, ტენდენციები და პერსპექტივები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000.

14. კახიანი გ., აბსტრაქტული ნორმათკონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში, სამართლის ჟურნალი, №1, 2009.
15. კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011.
16. კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
17. კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005.
18. კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006.
19. კვერენჩილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997.
20. კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, გამომცემლობა „უფლება“, 1997.
21. კოჭლამაზაშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, გამომცემლობა „ბონა კაუნა“.
22. მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, თბილისი, გამომცემლობა „უფლება“, 1996.
23. მელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „უფლება“, 1996.
24. მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006.
25. მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი“ - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998.
26. მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1999.
27. მელქაძე ო., დვალი ბ., საკონსტიტუციო სასამართლობის ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებანი, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001.
28. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, გამომცემლობა „მერანი-3“, 2000.
29. მელქაძე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 1999.
30. მო დ., უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №2, 2011.

31. ნიშნიანიძე ნ., კონსტიტუციური იუსტიციის ფილოსოფიური შემეცნების საკითხისათვის, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997.
32. პაპიერი ჰ.ი., ინდივიდუალური სარჩელი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, მ. მანჯგალაძის თარგმანი, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 2003.
33. სლივა ა., საკონსტიტუციო სასამართლო რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სისტემაში, თ. დემეტრაშვილის თარგმანი, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2000.
34. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, აირის საქართველო, გამომცემლობა „სეზანი“. 2003.
35. შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმატოკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2003.
36. შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობითა და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, აირის საქართველო, გამომცემლობა „სეზანი“, 2003.
37. ცნობილაძე პ., კონსტიტუციური კონტროლი და კონსტიტუციური ზედამხედველობა, ჟურნ. „სამართალი“, №1, 1992.
38. ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხზე, ჟურნალი „საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა“, №1, 2010.
39. ხმალაძე ვ., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000.
40. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გამომცემლობა „მერიდიანი“.
41. ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, CTZ.
42. Arnaiz A. S., Constitutional Jurisdiction in Europe: Between Law and Politics, Maastricht Journal, Vol. 111, 1999.
43. Arnold R., Constitutional Courts of Central and Eastern European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Studies, Tulane European & Civil Law Forum, Vol. 18, 2003.
44. Barak A., Purposive Interpretation in Law, Eranslated from Hebrew by Sari Bashi, Princeton, New Jersey, 2005.
45. Del Luca L. F., Introduction of Judicial Review in Italy - Transition from Decentralized to Centralized Review (1948-1956) - A Successful

- Transplant Case Study, *Penn State International Law Review*, vol. 28 num. 3, 2010.
46. Dürr S. R., Comparative Overview of European Systems of Constitutional justice, *International Constitutional Law Journal*, Vol. 5, No. 2, 2011.
  47. Faber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, *Vienna Journal on International Constitutional Law*, Vol. 1, 2008.
  48. Gerhardt M. J., Judging Congress, *Boston University Law Review*, Vol. 89-525, 2009.
  49. Introduction to German Law, Edited by Ebke W. F. and Finkin M. W., Kluwer Law International, 1996.
  50. Handbook of Polish Law, Edited by Dajczak W., Szwarc A.J., Wilinski P., Adam Mickiewicz University, Poznan, 2011.
  51. Harutunian G., Democratic Processes and Present-Day Tasks of the Constitutional Court of the Republic of Armenia, Translated by Feldbrugge F.J.M., *Review of Central and East European Law*, No.3, 2000.
  52. Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, *Tulane European and Civil Law Forum*, Vol. 12, 1997.
  53. Kelsen H., *Pure Theory of Law*, Translated from the second (revised and enlarged) German edition by M. Knight, Los Angeles, London, 1970.
  54. Kim J., Some Problems with the Korean Constitutional Adjudication System, *Journal of Korean Law*, Vol. 1, No. 2, 2001.
  55. Kulić D., The Constitutional Court of Yugoslavia in the Protection of Basic Human Rights, *Osgood Hall Law Journal*, Vol. 11, No. 2, 1972.
  56. Miller A., *The Supreme Court and American Capitalism*, New York, 1968.
  57. Mose E., *Constitutional Review and Implementation*, *International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium*, 2010.
  58. Ntaba Z.J.V., Constitutional Interpretation: Judicial Activism or Restraint, *European Journal of Law Reform*, Vol. X, no. 2, 2008.
  59. Pakalnytė K., The Lithuanian Constitutional Court: Its Nature, Structure, and Position in the Lithuanian Legal Order, *International Journal of Baltic Law*, Vol. 2, No. 1, 2005.
  60. Papuashvili G., Problematic Aspects of Interrelationship between the Constitutional and Ordinary Courts, 1<sup>st</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Cape Town, 23–24 January 2009.
  61. Pound R., *Courts and Legislation*, *Science of Legal Method*, Selected Essays of Various Authors, The Modern Legal Philosophy Series,

- Translated by Ernest Bruncken and Layton B. Register, with introductions by Henry N. Sheldon and John W. Salmond, New York, 1921.
62. Rupp H. G., *Judicial Review in the Federal Republic of Germany*, *The American Journal of Comparative Law*, Vol. 9, No. 1, 1960.
  63. Sadurski W., *Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence*, *Legal Studies Research Paper*, No. 11/15, Sydney Law School, 2011.
  64. Schlüter H., *The German Constitutional Court*, *Journal for South African Law*, №2, 1998.
  65. Sekhniashvili E., *Economic Consequences of the Constitutional Control and the Impact of the Constitutional Justice on the Transitional Economy in Georgia; Constitutional Court as Political Actor in the Political System*, National Council for Eurasian and East European Research Carnegie Research Fellowship Program Research Paper, 2010.
  66. Starck C., *Constitutional Review in the Federal Republic of Germany*, Translated by Ignaski J., *Notre Dame International and Comparative Law Journal*, Vol. 2, 1984.
  67. Tanchev E., *Constitutional Control in Comparative and Bulgarian Prospective*, 1<sup>st</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Cape Town, 23–24 January 2009.
  68. Tetzlaff Th., *Kelsen's Concept of Constitutional Review Accord in Europe and Asia: The Grand Justices in Taiwan*, *National Taiwan University Law Review*, Vol. 1, No. 2, 2006.
  69. *The Guarantees of the Independence of the Constitutional Court*, 2<sup>nd</sup> Congress of the World Conference on Constitutional Justice, Rio de Janeiro, 16–18 January 2011.
  70. Абрамовичюс А., *Некоторые Аспекты Исполнения Решений Конституционного Суда Литовской Республики*, *International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium*, 2005.
  71. Артемьев М., *Как Работает Америка*, Москва, 2009.
  72. Арутюнян Г.Г., Баглай М.В., *Конституционное Право - Энциклопедический Словарь*, Москва, Издательство Норма, 2006.
  73. Баглай М. В., *Конституционное Право Российской Федерации*, Москва, Издательство Норма, 2007.
  74. Барак А., *Судейское Усмотрение*, Перевод с английского, Под редакцией В. А. Кикотя и Б. А. Страшуна, Москва, 1999.
  75. Василевич Г. А., *Исполнение Решений Конституционного Суда - Свидетельство Развития Государства по Правовому Пути*, *Конституционное Правосудие*, №1(27), 2005.

76. Василевич Г., Решения Конституционного Суда Как Источник Права и Их Соотношение с Актами Иных Судебных Органов, Конституционное Правосудие, №2(28), 2005.
77. Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998.
78. Гегенава Д., Правовая Природа Конституционного Суда, Как Специального Органа Конституционного Контроля и Его Место Среди Высших Органов Власти, International Students' Olympiad in National and Comparative Constitutional Law, Batumi, 2011, 184-202.
79. Зорькин В., Конституционные Суды Стран Молодой Демократии к Европейском Правовом Поле, Конституционное Правосудие, №2(28), 2005.
80. Зорькин В., Прецедентный Характер Решений Конституционного Суда Российской Федерации, Конституционное Правосудие, №3(33), 2006.
81. Клишас А. А., Конституционная Юстиция в Зарубежных Странах, Москва, Международные Отношения, 2004.
82. Конституционное Право Зарубежных Стран, Под. общ. ред. Баглая М. В., Лейбо Ю. И., Энтина Л. М., Москва, Издательство Норма, 2004.
83. Крумм Р., Конституционный Патриотизм в Германии, Конституционное Правосудие, №3(37), 2007.
84. Мишин В., Конституционный Суд – Востребованный Временем Правовой Институт, Конституционное Правосудие, №2(28), 2005.
85. Пулбере Д., Судебный Прецедент Конституционного Суда Как Источник Права и Его Роль в Преодолении Законодательных Пробелов, International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium, 2009.
86. Сергеев Д. Н., Конституционное правосудие в России: политико-правовое исследование, Диссертация на соискание ученой степени кандидата политических наук (На правах рукописи), Москва, 2005.
87. Стецюк П., Роль Конституционного Суда Украины в Процессе Формирование Современного Украинского Конституционализма, International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium, 2009.

## საქართველოს კანონმდებლობა

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995, №786-რს
2. 2010 წლის 15 ოქტომბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებებების შეტანის შესახებ“, №3710-ს
3. 2005 წლის 29 დეკემბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, №2496—რს
4. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, პარლამენტის უწყებანი №001, 27.02.1996, №95-რს
5. 2006 წლის 29 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე“, №4215-რს
6. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, პარლამენტის უწყებანი №5-6, 24.04.1996, №159-ს.
7. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №28, 18.07.2007, №5207-რს.
8. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №33, 09.11.2009, №1876-ს.
9. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 22.06.2012, №6533-ს.

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროსასამართლოს პრაქტიკა

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება №6/134-139-140 საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/80-9 საქმეზე „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება №6/134-139-140 საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/468 საქმეზე, „სა-

ქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/484 საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №3/2/416 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“
7. საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება №1/14/184,228 საქმეზე, „სააქციო საზოგადოებები - „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 18 მარტის განჩინება №1/5/226 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) წინააღმდეგ“.
10. „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ [ECHR], ევროსასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის განჩინება, განაცხადი №40765/02. ხელმისაწვდომია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge)

## უცხო სახელმწიფოთა კანონმდებლობა

1. **Constitution of the Republic of Serbia**, ხელმისაწვდომია სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.predsednik.rs](http://www.predsednik.rs)
2. **Constitution of Ukraine**, ხელმისაწვდომია უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.ccu.gov.ua](http://www.ccu.gov.ua)
3. **Constitution of Turkey**, ხელმისაწვდომია თურქეთის პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.tbmm.gov.tr](http://www.tbmm.gov.tr)
4. **Constitutional Court Act of the Republic of Slovenia**, ხელმისაწვდომია სლოვენის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.us-rs.si](http://www.us-rs.si)
5. **Constitution of the Republic of Azerbaijan**, ხელმისაწვდომია აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.constcourt.gov.az](http://www.constcourt.gov.az)

6. **Constitution of the Republic of Tajikistan**, ხელმისაწვდომია ტაჯიკეთის რესპუბლიკის პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.parlament.tj](http://www.parlament.tj)
7. **Constitutional Law of the Republic of Kazakhstan about the Constitutional Council of the Republic of Kazakhstan**, ხელმისაწვდომია ყაზახეთი რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.constcouncil.kz](http://www.constcouncil.kz)
8. **Law on the Constitutional Court of the Republic of Lithuania, 3 February 1993, No. I-67**, ხელმისაწვდომია ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.lrkt.lt](http://www.lrkt.lt)
9. **Law on the Federal Constitutional Court of the Federal Republic of Germany, 12 March 1951, Federal Law Gazette I p. 243**, ხელმისაწვდომია შედარებითი სამართლის საზოგადოების ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.iuscomp.org](http://www.iuscomp.org)
10. **Constitution of the Republic of Latvia, art. 85, 15 February 1922**, ხელმისაწვდომია ლატვიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.satv.tiesa.gov.lv](http://www.satv.tiesa.gov.lv)
11. **Constitutional Court Law of the Republic of Latvia, 14 June 1996**, ხელმისაწვდომია ლატვიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.satv.tiesa.gov.lv](http://www.satv.tiesa.gov.lv)
12. **Constitution of the Czech Republic, 16 December 1992 No. 1/1993 Sb.**, ხელმისაწვდომია ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.concourt.cz](http://www.concourt.cz)
13. **Constitution of Austria, 1920, Reinstated in: 1945**, ხელმისაწვდომია ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.vfgh.gv.at](http://www.vfgh.gv.at)
14. **Constitutional Court Act of Austria 1953 – VfGG**, ხელმისაწვდომია ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.vfgh.gv.at](http://www.vfgh.gv.at)
15. **Constitution of Republic of France, October 4, 1958**, ხელმისაწვდომია საფრანგეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.conseil-constitutionnel.fr](http://www.conseil-constitutionnel.fr)
16. **Constitutional Court Act of the Czech Republic, 16 June 1993, 182/1993 Sb.**, ხელმისაწვდომია ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.concourt.cz](http://www.concourt.cz)

## ელექტრონული რესურსები

1. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
2. [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge)
3. [www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge)
4. [www.venice.coe.int](http://www.venice.coe.int)
5. [www.law.tsu.edu.ge](http://www.law.tsu.edu.ge)
6. [www.lexadin.nl](http://www.lexadin.nl)
7. [www.heinonline.org](http://www.heinonline.org)
8. [www.ssrn.com](http://www.ssrn.com)
9. [www.icl-journal.com](http://www.icl-journal.com)
10. [www.predsednik.rs](http://www.predsednik.rs)
11. [www.ccu.gov.ua](http://www.ccu.gov.ua)
12. [www.tbmm.gov.tr](http://www.tbmm.gov.tr)
13. [www.us-rs.si](http://www.us-rs.si)
14. [www.constcourt.gov.az](http://www.constcourt.gov.az)
15. [www.parlament.tj](http://www.parlament.tj)
16. [www.constcouncil.kz](http://www.constcouncil.kz)
17. [www.concourt.am](http://www.concourt.am)
18. [www.tribunalconstitucional.pt](http://www.tribunalconstitucional.pt)
19. [www.conseil-constitutionnel.fr](http://www.conseil-constitutionnel.fr)
20. [www.vfgh.gv.at](http://www.vfgh.gv.at)
21. [www.concourt.cz](http://www.concourt.cz)
22. [www.lrkt.lt](http://www.lrkt.lt)
23. [www.satv.tiesa.gov.lv](http://www.satv.tiesa.gov.lv)
24. [www.iuscomp.org](http://www.iuscomp.org)